

ღადო ბაბიაშვილი

ასაბიძე

რუსთავი
2017

ანოტაცია

ქართველი პოეტი, ლადო ბატიაშვილი, 1995 წელს დაიბადა. ლექსების წერა ადრეულ ასაკში დაიწყო, პირველი პოეტური კრებულის გამოცემა კი, რომელიც ათი წლის განმავლობაში დაწერილ ლექსებს აერთიანებს, 2017 წელს გადანაცვდა. პოეტის ხანგრძლივი შემოქმედებითი საქმიანობის მომცველი კრებული მკითხველს სხვადასხვა თემატიკისა და სტილის პოეზიას სთავაზობს, რომელიც ავტორის სახასიათო, ინდივიდუალური ხელწერით გამოირჩევა.

წარმატებას ვუსურვებთ ახალგაზრდა პოეტ ლადო ბატიაშვილსა და მის პირველ პოეტურ კრებულს – „ასაბია“.

ლადო ბატიაშვილი
პოეტური კრებული „ასაბია“

რედაქტორი: მამულა ბატიაშვილი
ტექ. რედაქტორი: ირაკლი კორძასია
მარინა გომიაშვილი

© ლადო ბატიაშვილი,
რუსთავი, 2017
ყველა უფლება დაცულია

მონატრება

წვიმიან ქუჩაში ვდგავარ და მანწვიმს,
 მონწყენილი ვარ, როგორც ბელურა,
 ღმერთმა თუ ცრემლი გადმოგვაყარა,
 ეს ცრემლი სახეს შემოესხურა.

ისევ წვიმაა...
 ამ ბნელ ღამეში
 ჩემს ტუჩს ადნება ცრემლები უფლის,
 წვიმს და წვეთები უწყვეტად მოდის,
 მოდის და მოდის...
 ცა აღარ იცდის!

წვიმის წვეთები ასკდება მიწას,
 მიწა სველია, როგორც ფოთლები,
 ვდგავარ ქუჩაში, თავსხმა წვიმაში
 და სამუდამოდ დაგელოდები.

წვიმაა გარეთ, მაგრამ ჩემს გულში
 სითბოა კვლავ და თეთრი ზმანება,
 ვდგავარ ქუჩაში და ვფიქრობ შენზე,
 მაგრამ შორსაა გამოდარება.

ვილოცებ შენთვის, დავანთებ სანთელს,
 ენთება სავსე, უშრეტი სულით,
 მე შენზე ვფიქრობ, როგორც თეთრ ფიფქზე,
 მე შენზე ვფიქრობ დღეს სიყვარულით!

2007 წ.

ზღვა

ზღვა ლელავს და მის ნაპირზე
ვდგავარ უცნაურად ჩუმი,
წყლის ზვირთები ზედაპირზე
თითქოს არღვევს საშიშ დუმილს.

ზღვა ბობოქრობს და ტალღები
მონწყდება ქვიან ნაპირს,
გეჩვენება, მსხვერპლი ხდები
ზღვის ლელვისა და თან დარდის.

სალამოა და თითქოს მზე
ზანტად ჩადის ზღვის დასასრულს,
იმედგაცრუებულად დღე
გაჰყურებს მზეს, თითქმის ჩასულს.

ლელავს ზღვა და მის ნაპირზე
ვდგავარ უცნაურად ჩუმი,
წყლის ზვირთები ზედაპირზე
თითქოს არღვევს საშიშ დუმილს.

2007 წ.

მზის ჩასვლა

მზე ჩავიდა ჰორიზონტზე,
 ცამ იცვალა ერთხანს ფერი,
 ბოლო სხივი ჩაინურა,
 შებინდებას ისევ ველი.

ისე ველი, როგორც სხვა დროს,
 მუდამ ასე მეორდება,
 მზე ამოდის, ისევ ჩადის
 და ჩვენს თვალებს კვლავ შორდება.

ცა ცისფერი აღარ იყო,
 სხვანაირი გახდა უცბად,
 მზე ჩავიდა,
 მზე ჩავიდა,
 შორ სივრცეში გადაცურდა.

2007 წ.

დილა

გათენდება, გამოჩნდება უჩვეულო ფიქრები
და გჯეროდეს სამუდამოდ შენთან ერთად ვიქნები.

გაიქროლებს და სხეულში ცივი ქარი გაივლის,
მაგრამ უცბად გაქრება და ყველაფერი ჩაივლის.

გულში სევდა ისადგურებს საოცარი ფერებით,
ჩუმად მოვალ და სახეზე ნაზად მოგეფერები.

მწუხარება წინათ იყო, მაგრამ ახლა გამქრალა,
არვინ იცის, ამ ცხოვრებამ რომელ მხარეს ატარა.

საუკუნო ღამეები ერთ წამში რომ ილევა
და სიცოცხლის დასაწყისად დილა რომ გვევლინება.

მწუხარებით შემოსილა უსასრულო წყვიდადი,
ცხოვრება კი იწყება... ნათებაა დიადი.

უსიცოცხლო ოცნებებით გარდამავალ ფიქრებში,
საოცარი სიმღერებით გაურითმავ რითმებში,

სინაზით და სიყვარულით მწუხარება გამქრალა,
კვლავ სილალით, სიხარულით სიო მკვდრეთით აღმდგარა.

ჩუმი ქროლვით, მგრძობიარედ, გამოჩნდება სინათლე,
უსასრულო ოცნებებით კვლავ საოცრად ინათებს.

გულები კი აივსება განუყრელი ფიქრებით
და გჯეროდეს სამუდამოდ შენთან ერთად ვიქნები.

2011 წ.

ქართულ ენას

ო, ენავ ჩემო! სულის ჩამდგმელო! მომნიჭებელო აღმადრენისა,
ო, ენავ ჩემო! სიბრძნით მოცულო და საუნჯეო მთელი ერისა,

უშენობით ხომ ბევრი ვიარე, შემოვიარე ვრცელი მიწადვრები
და გეუბნები, ყველაფრით დაღლილს
მე ძველებურად ისევ მჭირდები.

მწვანე ფერდობებს ნისლი მოადგა, იდუმალება გამეფდა ყველგან,
მწუხარებით და სევდით მოცულმა
თავშესაფარი ვერ ვპოვე ვერსად,

აღბათ, ეს არის ჩემი ხვედრი და გემშვიდობები ჩემო მამულო,
მაგრამ შენ რჩები სამარადისოდ, მუდამ იცოცხლე,
ენავ ქართულო!

შელამებისას სიზმრად გიხილე და საოცარი ძალა მომეცა,
იყავი ისე გაბრწყინებული, როგორიც იყო ქართლი ოდესაღაც!

წინ, ჩემო ენავ, ქართულო, რომ გაგეკვალოს ღვთიური გზები
და წარმატებით კვლავ დაგელაშქროს ცას მიბჯენილი,
უვალი მთები.

გრძნობით აღვსილო, თვით სასწაულო,
ღვთით კურთხეულო, ქართულო ენავ,
გამძლეობისთვის და სიმტკიცისთვის
გეკუთვნის მხოლოდ ქება და ქება,

სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის ფასობს,
რომ შევიყვაროთ ჩვენი მამული
და საუკუნო ხატად ვაქციოთ წმინდათანმინდა ენა ქართული!

2011 წ.

ჭიდილი დროსთან

ქრება ნათელი და მასთან ერთად
სადღაც იღვიძებს მძვინვარე ქარი,
სადღაც იფეთქებს სიცოცხლის ძალა
და თან ნაჰყვება მას ჩემი ქნარი.

ველარ ავდგები, სამარადისოდ მიწად დავრჩები,
დასამძიმებლად ჩემი გულისა,
უკვდავსაყოფად და გასაყოფად
ბნელით მოცული ამ სიცრუისა.

ვინ თანამიგრძნობს ძნელბედობის ჟამს?!
ტანჯვა სულისა ვის რად აწუხებს?!
მინდა შევიცნო ბუნების არსი,
რომ დავაღწიო თავი მარწუხებს.

გრძნობა ძალაა, რომ გვაძლებინებს,
მხოლოდ სიტყვები ფუჭი როდია?
მინდა, შევიცნო სიცოცხლის აზრი,
მინდა, შევება მხოლოდ გოლიათს.

გზისკენ ისწრაფე შენ, უგუნურო,
წუთისოფელს რომ სწორად ასრულებს,
ისწრაფე გულით, მთელი არსებით
და დაეწიე გაღმით გასულებს.

საოცრებებში დაკარგულო უიმედობავ,
იხმე გონება რთული ფიქრისთვის
და მოემზადე სრული მარცხისთვის,
გარდაუვალი აგონიისთვის.

სად გაბნეულა ჩემი ფიქრები?
გამორიყულა გრძნეულ ნაპირზე,
დროის ჭიდილში სევდა შობილა შავად შემოსილ,
გამხმარ ყვავილზე.

ძალა გამქრალა, სულიც ჩამქრალა
და გარდასულა ძველი დიდება,
მარტოსულობით და მდუმარებით
მხოლოდ მე დავრჩი – ურჩი ქმნილება.

შესაჩერებლად ძალა არ ჰყოფნით
დროთა სიმრავლეს და ქარტეხილებს,
მხოლოდ გონება და ჩემი გრძნობა
– გასაჭირში მყოფს ეს მაძლებინებს.

ქრება ნათელი და მასთან ერთად
სადღაც იღვიძებს მძვინვარე ქარი,
სადღაც იფეთქებს სიცოცხლის ძალა
და თან ნაჰყვება მას ჩემი ქნარი.

2011 წ.

ვათენებ ლამეს

ვათენებ ლამეს...
დანყევლილ სულებს
რა უხარიათ ნეტავ ვიცოდე,
მოკრულან, თითქოს მოჭედებულან
ცნობიერების უხეშ გისოსზე.

ყოველ ადგილას მათ ლანდებს ვხედავ,
ყოველი მხრიდან მეჩვენებიან,
დაბლა გართხმული შავი ძალები
თანმიმდევრობით, მდორედ დგებიან.

ვათენებ ლამეს...
არც ვიცი რისთვის,
აღბათ, რაიმე გრძნობა წამილებს,
ვერ ვიმახსოვრებ საკუთარ აზრებს
და ველარ ვარჩევ ამდენ თარილებს.

მე ერთადერთი ჩვეულება მაქვს:
არ ვემონები მისტიკურ ძალებს!
მრავალი ბრძოლის შემდეგ შევხვდები
კმაყოფილებით სიცოცხლის დამლევს.

ვათენებ ლამეს...
თვალებს ვაცეცებ,
განა რას ვეძებ?! მხოლოდ ვმშვიდდები,
მეორე მე კი შემოხსნის კარებს,
წამიჩურჩულებს: მე შენ მჭირდები!

მერე ჩვენ ორნი ვერთიანდებით
და მიყოლებით ვაშენებთ სანგრებს,
არ ვეპუებით გაუგებრობას,
ბურუსით მოცულ, უცნაურ აზრებს.

ვათენებ ღამეს...
 ირგვლივ სიჩუმე,
 საგნებიც თითქოს მე მიყურებენ
 და როცა ბოლოს მაინც შევხედავ,
 უწინდელ სახეს კვლავ იბრუნებენ...

ჩემი შეცდომა – ეს ფიქრებია,
 რომელთაც ასე ძერწავს გონება,
 ერთადერთია ეს შეცდომები,
 რომელთაც არ აქვთ გამოსწორება.

ვათენებ ღამეს...
 ამ გრძნეულ ღამეს
 თავს ვერ დავაღწევ ასე მგონია,
 ეს კიდევ უფრო მეტად აჩქარებს,
 ჩემს სულით კვდომას და აგონიას.

მაგრამ სადაა ცნობიერება?
 მე ვაკონტროლებ, ის ჩემს ხელშია,
 მე წარვეუძღვები ჩემს სულს და სხეულს,
 რომელთა კვალიც ამ ღამეშია...

2012 წ.

მე, ალმაზრენა

მე გადავლახე დროის მარწუხთა ურღვევი ზღუდე
და შევეუსახლდი ნაწვიმარ ჰაერს, ნესტით გაჟღენთილს,
უდაბნოების ხრიოკები ვაქციე გუბედ,
წყალი სიცოცხლის მივიტანე ცისფერ ბაგემდის.

მე გავარღვიე მძიმე აკვანი უგუნურების,
კუზიანების და უმეცრების ბინა ვანგრეი,
არ ვეთაყვანე, არ ვემონე ძალას ბუნების,
ისევ განსჯა და აზროვნება ზურგით ვათრიე.

მე დავამსხვრიე ფერდაკარგულ ჩრდილთა ოცნება,
გრძნეულ წინაქარს გრძნეულებითვე მივუტრიალდი,
მტრების ნაკვალევს პირისპირ შეხვდა ჩემი გონება,
ფიქრს ვუხმე ჩიხში და მოვუწოდე: შენ გახმეიანი!

მე გადავწურე, რაც სასოება ვაგლახად ქროდა,
გარდასულ მზეთა ბნელ დაისებში შევცურე ნამით,
კარგის და ცუდის ჩასვენებული გავმართე ბჭობა,
გულის გატეხვის შავ მინურებში შევჩერდი ამით.

მე წავაქციე დიდებულების უხეში თრთოლვა,
შეპყრობილ აზრთა ბორკილები ვტეხე თანდათან,
ხოტბა შევასხი და განვადიდე ადამის მოდგმა,
მრუდე წირების გასწორება ვცადე ხანდახან.

მე მოვექციე ნისლისფერ გზებზე უკან მეგზურებს
და ბედისწერის ქედები ვხეთქე მინა-ქვიანი,
ნაისარ გულთა მებატონეთ, სულით ეულებს,
გავეთავისე...
ვუწოდე მათ – ადამიანი!

მე გადავცურე ნაცრისფერ ზღვათა უძირო წყლები,
არ დავმორჩილდი განგების მორევს, სიკვდილის ქარებს,
ფერი ვუცვალე და მიმოვფანტე სიცოცხლის მთები
და მივეახლე ცნობიერების სისხლისფერ არეს.

მე შევაჩერე უიღბლო კაცთა ნელი წამება,
 დროის აღისფერ ნაკვალევში სწრაფად ჩავდექი,
 ცხადად ვაქციე ფერად ღამეთა თეთრი ზმანება,
 ბნელს თანავუგრძნე, განმარტოებულს ბოლო წამებში.

მე შევეგებე ახლად შემოსულ ღვთიურ სინათლეს,
 დიდებულ დილას მთელი არსებით მივუალერსე,
 საამო გრძნობით შევიგრძენი მისი სინაზე,
 როს ნიავეარი მომეგება გამთბარ სახეზე.

მე დავინახე მზე – ზეციური, ოქროს მნათობი,
 გასხივოსნებულს მივაცქერდი, თვალი მომეჭრა,
 გულში ავიღე მისი ნათების წმინდა აკორდი,
 მზე – ზეციური აინია, ღრუბლებს შეეკრა.

2012 წ.

სემირამიდა

დალამდა...

მაგრამ შენ არ ხარ მარტო,
ეს მე ვარ მხოლოდ სულით ეული,
თუკი ფიქრები მოვიდნენ შენთან,
თუ გადმოლახეს გზები სვეული.

მე მომეძალა მელანქოლია
და გადამსერა გრძნობამ წყვეტილმა,
მძიმედ დაჭრილი წამოვალ შენთან,
თუკი ბოროტი ძლია კეთილმა.

ვიყავი გულის მეზაირადე,
შენ – დედოფალი სემირამიდა,
მკლავდა, მათრობდა ეგ სილამაზე,
ცის დიადემა, ნაზი გრაცია...

მაჯადოებდა ჰარმონია დღის,
ელფერი ლურჯი, შორი დაისის,
მე მოგიყვები საოცარ ზღაპარს,
თუკი ცოტა ხანს კიდევ დამიცდი.

შავ ესკიზებში გადავიკარგე,
შენს მკრთალ სახეზე ნისლი ვაცურე,
მელოდებოდი, ვერ მოვალწიე,
მგზავრებს გავყევი, სხვა გზით წასულეხს.

ფიქრი ვიყავი სევდანარევი,
შენ კი ღვთიური, თეთრი ხატება,
ცრემლი ვიყავი თვალზე მომდგარი
და შენ ფაქიზი, ურჩი არსება.

წმინდა ტრფიალის, სრულყოფილების
და შემოქმედი ფანტაზიისა,
უკიდევანო დროის კიდიდან
გეტრფი დედოფალს ასირიისას.

მე გავხდი გრძნობის მემატრიანე,
 მძიმედ შევხსენი გული კარიბჭე
 და როგორც ქარში თვალეები ქვიშით,
 ისე სინმინდით უცბად ავივსე.

იცოდე, გწამდეს, რომ კვლავ მასსოვხარ
 და გესალმები ზეცის ბალიდან,
 რომ მე ვარ შენი უტყვი მებაღე,
 შენ – დედოფალი სემირამიდა...

დაღამდა...
 მაგრამ შენ არ ხარ მარტო,
 ეს მე ვარ მხოლოდ სულით ეული,
 თუკი ფიქრები მოვიდნენ შენთან,
 თუ გაიარეს გზები ხვეული.

2012 წ.

დრო გადის... ანუ რაღაც სრულდება

წამში საათი, წუთში დღე, ერთ დღეში თვეც კი გავიდა, წავიდა სილამაზის დრო, სიყვარულის დროც წავიდა, საით მიჰქრისხარ სიცოცხლევ? რად არ იწყები თავიდან? რად მახსენდები ბავშვობავ?! მეძახი, მაგრამ საიდან?!

ვიცი, ეს წელიც მიიწურება... მოგონებებად დაილექება, მომავლის მტკიცე კარიბჭეები სულ ერთიანად დაილენება, დამავიწყდება შენი თვალები, სახეც კი იქვე ჩაიფერფლება, ეგ სისპეტაკე მემახსოვრება და სინატიფე გაილექსება.

შენც გაფრინდები წელო ტანჯვის
და წელო წამების შენც დასრულდები!
გარდასულ დროთა მონმევ, სახეო, ხომ ხედავ,
როგორ უფერულდები?!
რას ეჭიდები ცნობიერებავ? ცდა ამაოა დღეს დაბრუნების,
ჩვენ ნაწილი ვართ სხვა სამყაროსი,
ნაწილი დროში დაკარგულების.

მე შენ გიხილე ისევ ისეთი, როცა მოჰგავდი სრულყოფილებას,
გასაოცარი იყო იმ წუთას ჩემი სურვილი და მოთმინება,
გრძნობით წმინდა და იქნებ გასვრილიც შემოგცქეროდი,
როგორც ქმნილებას,
შენ ერთიანად მაგრძნობინებდი ზოგჯერ ტკივილს
და ზოგჯერ დიდებას.

საათებს ითვლის საათი, მიდის დრო, აღარ ჩერდება,
სხეული დამძიმებულია, გული მაინც არ ბერდება,
სწრაფად რომ ჩამოლამდება, ისევ სწრაფადვე თენდება,
გაფრინდენ წლები...
ნაბიჯიც, აუწყობელი, ნელდება.

წინ – არაფერი!
და უკან? უკან ხომ მთელი ცხოვრება!
ტკივილი... ათასი ფიქრი... ათჯერ იმდენი ოცნება,
სახელი მაინც არ მოკვდეს, ხორცი ისედაც მოკვდება,
განწირულთ დასასრულისთვის რას გვარგებს მოთქმა-გოდება?!

თუკი სახეებს გაიხსენებენ ზოგჯერ მშვიდსა

და ზოგჯერ ღრუბლიანს,

ერთხელ თუ მაინც გაიხსენებენ, იტყვიან: იყო, ნახა, უგრძენია!
ოღონდ არა სთქვან: უქმად იცხოვრა, რა გააკეთა? რა შეუქმნია?
რისთვის მოვიდა? რა დაგვიტოვა?

რალა მოვკითხოთ? უკვე უტყვია!

რადგან სიცოცხლეს უშინაარსოს სჯობს

სულიერის არ დაბადება,

მიახლოებულს სიკვდილის კართან ამაოდ მოთქმა და დანანება,
როცა ცხოვრება აღარ თამაშობს, დრო გაგიტაცებს და გატაცება
საუკუნოა! ვერ დაბრუნდები! უფრო შორს წახვალ და გათავდება!

როგორ იცხოვრებ? რით გალევ ყოფას?

რას დაუტოვებ შთამომავლობას?

იქნებ არაფერს? და გადაჰყვები ამ უთავბოლო დროის ტარებას?
დაემონები ბედის დაცინვას, დამორჩილდები თავის წამებას,
როგორც ქარს მტვერი, შენი სახელი,

დროის უწყვეტ სვლას, ისე გაჰყვება.

და რატომ?!

დროის ბრალია!

დრო ცვლილებაა, დრო ზღაპარია,

ნუთისოფელი უხმო ტანჯვაა, აქ სულ ყინვაა, სულ ზამთარია,
დაბადებაა დამშვიდობება, მაგრამ სიკვდილი ის სალამია,
რომ ვესალმებით უსასრულობას, ბევრს კი სალამი არ უხარია...

შენ კი მშორდები, მიდიხარ ისევ,

ამაო ფიქრით და ცრუ ოცნებით,

არ გამახსენო ძველი დღეები, ნუ დამამძიმებ მოგონებებით,
იქნებ არ მითქვამს, სათქმელი დამრჩა,

რომ სამუდამოდ მემახსოვრები,

არ გაგიკვირდეს, ოღონდ ამას გთხოვ,

ოღონდ ამაზედ ნუ გაოცდები.

დრო გადის... რალაც სრულდება,
სადლაც სიმღერა მთავრდება,
სადლაც იღვევა სიტყვები, სადლაც სიკეთე მარცხდება,
ვინ იცის? ვინ მოისაზრებს და ვინ მიხვდება, რაც ხვდება?
რატომ იწყება ცხოვრება ან რატომ უცბად თავდება?

წამში საათი, წუთში დღე, ერთ დღეში თვეც კი გავიდა,
ვინ იცის, საით მივდივართ, ან ბოლო საით წაგვიყვანს,
შენ დამიტოვე ტკივილი, მე ამ ტკივილსაც ავიტან,
წავიდა სილამაზის დრო, სიყვარულის დროც წავიდა...

2013 წ.

რომ გაიქეცი...

სწორედ ამ ღამეს რომ გაიქეცი,
რომ აგედევნა უკან წყვილიაღი,
უკან დაბრუნდი სანამ მახსოვხარ,
სანამ არ არის კიდევ გვიანი.

შენ თუ შეატყვე, თუ დაინახე
ბნელში სინათლე შემოპარულა,
შავი ჩრდილების უნიჭო დასი
სცენიდან გადის ისევ მალულად.

ბალახს დანამულს,
ზეცის ცისფერ თალს
შემოვხვებვები უწინდებურად,
თანამიგრძობენ, შვებას მომგვრიან,
არ გავიღვიძებ ასე ეულად.

ხედავ იმ ვარსკვლავს, როგორ ანათებს,
მარტოსული რომ ცაზე გაკრულა?
და თითქოს იმის სანუგეშებლად
მთელი ზეცა რომ მალლა ასულა.

მე კი აქა ვარ, შენ სად გარბიხარ?
 უხმოდ მიჰქრისხარ, ველარ ჩერდები.
 შენ, ოქროსფერო, ნათელო დღეო
 აგვიანებ და აღარ თენდები!

რომ გაიქეცი...
 მე სად გამოგყვე?
 სად დავიამო გულის ვაება?
 სად გამითენდეს?
 სად დამილამდეს?
 სად შევჩერო თავის წამება?

ლამე სრულდება,
 ეს ბნელი ლამე...
 გაიფანტება მისი წყვილიაღი,
 შეჩერდი, დროა!
 შეჩერდი წამით!
 განმაცდევინე ეს განთიაღი!

მე დავრჩი მარტოდ, უიარალოდ,
 თვალს ველარ განვდენ, რადგან შორსა ხარ,
 შენ საოცარი არსება, არა!
 შენ ზეციური მთელი კოცნა ხარ!

აი, თენდება და ეს სინათლე
 გულში როდისღა შემოაბიჯებს?
 ან როდის დაცლის ბნელს საგულედან?
 როდის გადადგამს პირველ ნაბიჯებს?

ლამეც კი დნება საბედისწერო,
 სწორედ ამ ლამეს რომ გაიქეცი...
 ვინღა გექებოს?
 ვინღა გიპოვოს?
 შენ განთიადად გადაიქეცი...

2013 წ.

გალაკტიონის ხსოვნას

მოკვდა? ვინ თქვა, რომ სიკვდილი იცის
თვით სიყვარულმა გულებს ჩვეულმა?
მთანმინდის სულმა მოხეტიალემ,
უკვდავებასთან ზიარებულმა.

ჩვიდმეტში წვიმდა გადაუღებლად,
საბედისწერო ღამე ჩამოწვა,
ბნელს მიესალმა გალაკტიონი,
უკანასკნელად მასაც აკოცა.

არადა ერთ დროს სხივებს ჰკოცნიდა,
მზეს რომ სარკმელთან ეფერებოდა,
ცას შეჰყურებდა გარინდებული,
ყოველ განთიადს ელოდებოდა.

ღამე გაუხდა მესაიდუმლედ,
თანამოაზრედ იდუმალემა,
გულისცემაა? იქნებ შეჩერდეს,
და სვლა შეწყვიტონ იქნებ წამებმა.

გაზაფხულია, მეფე-პოეტი
ამ ერთ ზამთარსაც გადარჩენია,
იმ ყინვებიდან, ცივ სიზმრებიდან
ერთი ღიმილიც არ შერჩენია.

თოვლი მოსულა, ის იისფერი
მარტოსულობით გადაუკვალავს,
ვარდისფერი გზის ორმხრივ ნაპირებს
სიცოცხლე ფარავს, სუნთქვა უმაღავს.

მთვარე აღარ ჩანს...
დიდებულებით
ვიღაცას ელის, სახეს არიდებს,
გალაკტიონი სადღაც დაეძებს,
მაგრამ ფიქრებმა ისევ წაიღეს...

გედი სევდიან ტბას მოლივლივეს
 ზედაპირს უპობს, ისე მიცურავს,
 მან – სასიკვდილოდ გამზადებულმა
 ყველა იმედი გადაიწურა.

სიცოცხლის ბოლოს უნდა იმღეროს,
 უნდა დაღვაროს გულის ვაება,
 უკანასკნელად იქნებ გამაგრდეს,
 იქნებ სხივებიც ნახონ თვალებმა.

ოცნების ლურჯი იალქნებიდან
 დღე იცქირება სევდანარევი,
 თუ გაიშალენ, ფრთები შეისხეს,
 აღარ დასჭირდათ ზურგის ქარები.

თბილისმა ბნელი წამოიხურა,
 მარტი მიღელავს უსიყვარულოდ,
 შენ, მოგონებავ სიჭაბუკისავ
 და გაცრეცილო, ტკბილო წარსულო.

გალაკტიონი ფიქრით ვერ თვრება,
 სიკვდილსლა ნატრობს გაუსაძლისად,
 მაგრამ არ ნანობს...
 სწამს, რომ სიკვდილი
 მოევლინება ახლის საწყისად.

და გადმოიქცა...
 ბოლოს კი მაინც
 ღამის სიცივე სახით შეიგრძნო,
 სულის მუდმივი სიცარიელე
 ამ გადმოსტომით ისევ შეივსო.

მოკვდა? ვინ თქვა, რომ სიკვდილი იცის
 თვით სიყვარულმა გულებს ჩვეულმა,
 მთანმინდის სულმა მოხეტიალემ,
 უკვდავებასთან ზიარებულმა.

ღამე

წარმოვთქვა რამე, ისე რთულია,
ისე რთულია რამის წარმოთქმა,
შევცვალო რამე, ისე ბრძნულია,
ისე ბრძნულია რამის გამოცვლა.

ირგვლივ საგნები გარინდულია,
სიჩუმის ალში იწვება ღამე,
ჩემში ფიქრებიც დაბინდულია,
ველარ გავუძლებ წამებას ამდენს...

სულს არ ჰყავს ქვეყნად თანამოაზრე
და მარტოობით ზიდავს ცხოვრებას,
თუ გაკეთება რამის მოვასწრე,
თუ დავაღწიე თავი ოცნებას.

ბნელი ზედ თავზე წამომდგომია,
მხოლოდ ჩემს თავთან დამტოვა მარტო,
მაგრამ სულამდე ისე შორია,
მძიმედ მოწყვეტილ ფიქრებად მათოვს.

სიცოცხლის აზრი მე თავს მახსენებს,
ყოველი უცხოდ გადაქცეულა,
ცივ გულს გრძნობები აღარ ამშვენებს,
ფეთქავს და ფეთქავს ისევ ეულად...

ო, ეს სიმშვიდე სად დაკარგულა?
ისიც დამშორდა, წავიდა სხვასთან,
მე მას ვიპოვი მისთვის მალულად
და აღმოვაჩინე უძირო ზღვასთან.

ფერები არ ჩანს, ყველგან ბნელია,
ყველგან წუხილი ერწყმება სევდას,
ერთი საღამოც გამილევია
და ახლა ღამეს, ბინდისფერს, ვხედავ.

ფიქრების წყობა დარღვეულია,
 უკვე ველარ ვგრძნობ ძველებურ ტკივილს.
 ღამეც ისეთი დატანჯულია,
 მალე სიბნელეც დაიწყებს ტირილს.

წარმოვთქვა რამე, ისე რთულია,
 ისე რთულია რამის წარმოთქმა,
 შევცვალო რამე, ისე ბრძნულია,
 ისე ბრძნულია რამის გამოცვლა.

2013 წ.

ედემი ანუ დაკარგული ბინა

ხვატით გათანგული მხარე,
 კლდეში გაჟონილი წყარო,
 მთაში დაფანტული არვე,
 ფოთლებგაცვენილი სარო.

სევდით დანისლული სერი,
 გუთნით დასერილი მიწა,
 ჩორთით გადმოვლილი ველი,
 მწუხრით შექურვილი სიტყვა.

ედემს შეჩვეული გველი,
 ბინით მოხიბლული ევა,
 ჯვარზე გალურსმული ღმერთი,
 ქარში გაბნეული რწმენა.

ფიქრი, ურჩხულივით ბნელი,
 ხმანი უდაბნოსა შინა,
 ზაკვით არეული სკნელი,
 ედენ – დაკარგული ბინა.

ბოლო აღსარება

ერთი შეხედვით მითხარი რამე,
ეს საბოლოო განშორებაა,
ჩემი გრძნობები ებრძვიან წამებს,
უკანასკნელი გაბრძოლებაა...

ხედავ, ძვირფასო, მე ვიძირები
გაუფალ ნისლში, ბობოქარ ზღვაში,
სევდისფერ ვარდთა და გვირილების
რა ლამაზია ეს ბოლო მარში!

ო, ძველებურად მომხვიე ხელი,
იქნებ სხეულმა შეხება იგრძნოს,
შენი თვალები სულ იყო სველი,
მაგრამ მარადჟამს მაძლევდნენ სითბოს!

რად დამამძიმე, ძვირფასო, ასე?
რად შემახვედრე უქონელ სევდას?
მარტოსულობით მე ვგავდი მთვარეს,
მშვენიერებით შენ ჰგავდი ზეცას.

გვიანი არის წუხილი ახლა,
როცა გრძნობები წაგვართვეს წლებმა,
გულისტკივილის შეღებულ კართან
ჩვენ მოგონებებს ვიხსენებთ ერთად.

მე დავიღალე ამდენი ბრძოლით,
ამ მოლოდინმა მომიღო ბოლო,
მშვენიერების უბადლო ტრფობის
ჩემსავით დაღლილ ფიფქებად მოთოვს.

დრომ გაიყოლა ტკბილი წუთები
და მოგვივლინა ტანჯვა ამდენი,
რა ლამაზია შენი ტუჩების
ნაზი აღმურის კორიანტელი!

არ ვიცი, ბედმა თუ უბედობამ
 მოგვცა ცეცხლი და მოგვცა წამება,
 მტკივნეულია ქვისფერ ლოდებთან
 თეთრ სიმღერებად შემოღამება.

შენ აღარ ჰგავხარ ძველებურ სევდას,
 რადგან შეგვცალა ძლიერ დროებამ,
 მე კი შემიპყრო საღამოს ზეცამ
 და ჩამითრია ბნელმა მორევმა.

ახლა მოვედი სულის საშველად,
 ვიცი, ბოლოჯერ სითბოს გამატან
 და მოგონების მძიმე კარებთან
 გეძახი, მაგრამ ჩემი აღარ ხარ...

გთხოვ, შემომხედე წყლიან თვალებით,
 დღეს ცრემლების ღვრა, გთხოვ, არ დამიწყო,
 ჩვენი ფიქრები, თანაც რამდენი
 სულ ყველაფერი დრომ თან წაიღო!

2013 წ.

მოდო!

მოდო! შემხედე, მრუდე ცხოვრებამ
უსწორმასწორო გზებით მატარა,
მოდო! სიყვარულს მივცეთ გულები,
ბედნიერება შევქმნათ პატარა.

სიცოცხლის ღია სარკმელებიდან
ჩვენ დაკარგული გვიმზერენ წლები,
ჩამოწოლილა იქ მყუდროება
და ჩურჩულებენ წარსულის გზები.

დავიგვიანეთ...
ო, როგორ მინდა
ყველაფრის შეცვლა შემეძლოს დღესვე!
ახლა კი დავრჩი უიარალოდ
და უგვირგვინოდ ცოდვილი მეფე!

დავიგვიანეთ...
შორიდან ისმის
როგორ იღვრება ცრემლად ბუნება,
ნეტავ შემეძლოს შენემდე მოსვლა!
ნეტავ გაიგონ ჩემი წუთებმა!

მოდო! მომავალს ჩავჭიდოთ ხელი
და გავაშავოთ ერთად ჭაღარა,
სამარადისო გრძნობებს ვუმღეროთ,
მოვყვეთ, ლოდინმა როგორ დაგვკლალა!

დავიგვიანეთ...
უნდა მოხვიდე,
თორემ იქნება სუნთქვა გაჩერდეს.
მერე რა, თუკი ველარ მომისწრებ,
გარდაცვლილს ერთხელ მაინც დამხედე.

მოდო! შემხედე, მრუდე ცხოვრებამ
უსწორმასწორო გზებით მატარა,
მოდო! ერთმანეთს ვუთხრათ სათქმელი,
ბედნიერება შევქმნათ პატარა.

ისეც მიხვდები...

ძვირფასო, ისევ შენს თვალებს ვხედავ,
 ისევ სიცოცხლე მიჩქეფს ძარღვებში,
 მე მოგიტანე ბუნების ფეთქვა,
 შენ დაიკარგე წითელ ვარდებში.

გრძნობის ალამი გულზე ფრიალებს
 და მისი ცეცხლი სულს მოსდებია,
 იცი, რამდენჯერ მომნატრებიხარ?!
 ჰამლეტს მოვგავდი, შენ – ოფელიას.

ო, იცი, როგორ სრულყოფილია
 დღეს წარმოთქმული ყოველი სიტყვა?
 რა შეგრძნებაა, რა სურვილია
 შენმა თვალებმა რომ ჩამაფიქრა?!

საზღვარი არ აქვთ უხმო ოცნებებს,
 უსასრულოა უსიტყვო გრძნობა,
 ველარ ვიშუშებ გულის იარებს,
 დღეს სილამაზის ზეიმის დროა!

გუშინ ვინვოდი ამაო ფიქრით
 და სიყვარულით დღეს დაიწვები,
 შენთან მოვედი იმის სათქმელად,
 არაფერს გეტყვი, ისეც მიხვდები...

2013 წ.

სხვა სამყაროში

დღე იყო ცივი, სადღაც შორიდან
ქროდა სიკვდილის ძლიერი ქარი
და ფერდაკარგულ ღრუბელთა ქვემოთ
განისვენებდა სამყარო – მკვდარი.

დღე იყო ცივი, სიკვდილისფერი,
სულ სხვანაირი მზე ანათებდა,
მინის სიღრმეში გახვეულ სახეს
მშვიდად ეძინა ბნელ სამარესთან.

და გაციებულ სხეულთა ზღვაში
მე მივდიოდი მძიმედ დაჭრილი,
უკვე ვხვდებოდი, რომ იყო ბოლო:
ყველა გამქრალი, ყველა ნაშლილი.

დასთამაშებდათ მწარე ღიმილი
სხვა სამყაროში მოხვედრილ გვამებს,
არავინ იყო მათგან ლაზარე,
უკვე მოესპოთ სიცოცხლე წამებს.

ცხოვრების მიერ მიტოვებულებს,
დაბრმავებულებს მისი სიამით,
რწმენის აკვანში ჩუმად მოკლულებს
იქ დასცინოდა ლურჯი ნიავი.

ვიძირებოდი ცრემლის მორევში,
სუნთქვას მიკრავდა ბოროტი მინა,
მარტოდ დარჩენილს სანუგეშებლად
არ მქონდა რწმენა და აღარც სიტყვა.

ამის შემყურეს, მეც უკვე დაჭრილს
სიკვდილის ქარი მერკინებოდა,
ჩემთან მოღწეულს ვიგერიებდი
და შემოტევა კვლავ იწყებოდა.

იყო ბნელეთის მზე ვერცხლისფერი,
 იყო ქარი და სქელი ღრუბელიც,
 სიკვდილს მოეხრჩო ხსენება კაცთა
 და გაეყინა ცხელი გულები.

არ ჩანდა შველა, აღარც სულები,
 მხოლოდ ძლიერი ქარი ჩნდებოდა,
 შავი სამყარო უკრავდა მძიმედ
 და ცივ სხეულებს ცა უმღეროდა.

ვერცხლისფერი მზის მწველი სხივები
 მინვაკდნენ სახეს – ქარით აღენილს,
 ვიჭედებოდი სხეულთა ზღვაში,
 ვენამებოდი ტანჯვის წამებში.

იყო სიკვდილი და სამუდამო
 განსასვენებელს ფარავდა ზეცა,
 ღრუბელთა წყობას არღვევდა ქარი
 და მოისმოდა ზემოდან კვნესა.

მენატრებოდა ცოცხალთა მიწა
 მარტოდ დარჩენილს შვების ლოდინში,
 ვიყავი სადღაც, ყველას გარეშე,
 მე ოქროსფერი მზის მოლოდინში.

2013 წ.

გული არ იცდის...

მე სამუდამოდ დავივიწყე შენი თვალები,
ირგვლივ ხომ ასე გაუვალი, ვრცელი ნისლია,
მე სიზმარში ვარ, ვერც ვერასდროს გამოვფხიზლდები,
რადგან ცხოვრების გაგრძელება არ შემიძლია.

გრძნობათა ტყვე ვარ, მე მათ თავი ვერ დავაღწიე
და მარტოობის ქარიშხალმა სადღაც წამიღო,
ო, როგორ მინდა, მხოლოდ ერთხელ თვალი შეგავლო,
ო, როგორ მინდა, ჩემი გესმოდეს, სიტყვა გაიგო...

არ მყოფნის ძალა, მოვიდე შენთან, კიდევ შეგეხო,
მე გაუვალი ნისლებისგან ვარ განწირული.
არ მინდა ტანჯვა და წამება უკვე ნაწამებს,
მე ხომ ისედაც დაჭრილი ვარ დღეს სიყვარულით.

როგორ მომიწინადა თავის დაღწევა ამ ბურუსიდან,
როგორ არ მინდა დღე რომ იყოს უკანასკნელი,
უკვე რამდენი სიტყვა ვთქვი და იცი, მაინც
შენთვის მე კიდევ უამრავი დამრჩა სათქმელი!

გული არ იცდის...

ვერ ეჩვევა სიცარიელეს,
ისიც დაჭრილი, შენ ხომ მასზე დანა გამისვი,
მე დაგიცდიდი საუკუნოდ, სამარადისოდ,
მაგრამ ვერ შევძლებ, რადგან გული,
გული არ იცდის...

იგი დამტოვებს, უნდა გავყვე, ზღვა გადავცუროთ,
გრძნობათა მორევს, საშიშ ტალღებს ვეომოთ ერთად
და გასულეებმა საოცნებო გაღმა ნაპირზე
გადავივიწყოთ ყველაფერი, ვიმღეროთ ერთხმად.

შენ აქეთ რჩები ისევ ნისლში, ფიქრების ქარში,
ალარ აგემღვრეს ეგ თვალები, მათშიც ნისლია,
ეს ჩემს სიზმარში, მაგრამ მტანჯველ რეალობაში
რა ვქნა, მე შენი დავიწყება არ შემიძლია...

ვუმღეროთ სიკვდილს!

ვუმღეროთ სიკვდილს ჩვენ, სიცოცხლის გზებზე მავლებმა!
 ვუმღეროთ სიკვდილს, დამსრულებელს წუთისოფლისას!
 გავულოთ კარი, შეაჩერონ სუნთქვა წამებმა,
 გავულოთ კარი და შევწყვიტოთ სვლა ცხოვრებისა!

ვუმღეროთ სიკვდილს, რომ წაგვიყვანს
 (ჩვენ ვერ მივხვდებით),
 ვუმღეროთ სიკვდილს, რომ გაგვაქრობს
 (ჩვენ ვერ გავიგებთ),
 წამოვა ჩვენკენ გრიგალივით მძიმე ზვირთებით,
 უსასრულობა მიგვითვისებს, სადღაც წაგვიღებს.

ვუმღეროთ სიკვდილს, არ დაგვტოვებს ცოცხალს არავის,
 ვუმღეროთ სიკვდილს, გზააბნეულთ ჩუმიად გვაკოცებს
 და ჯოჯოხეთი
 (სააქაოს ნიღბის მფარავი),
 იქაც გაგვყვება, დაგვაკინძვებს აღთქმულ სამოთხეს!

2013 წ.

დაკარგული სამოთხე

ცეცხლოვან ქვებში აღარ სურდა ყოფნა პერუვიმს
და უკვე სძულდა სილამაზის ცხელი გვირგვინი,
სამოთხის კარი ახსენებდა ხმლიან ქერუბიმს,
ზეცა არ ეყო, პირველობის ჰკლავდა სურვილი.

სრული სიბრძნე და ბეჭედი სრულყოფილების
თითქოს ახრჩობდნენ, აგონებდნენ ღმერთის დიდებას,
სწვავდა ედემი, ძალა არ ეყო მას მოთმინების,
ომი მოუხდა, დაივიწყა თავის ღირსება.

მასში ჩასახლდა ქედმაღალი, ბნელი არსება,
ციური ბრძოლა წამოიწყო, მაგრამ დამარცხდა,
სასუფეველიდან ჩამოაგდო ის მიქაელმა,
დაბლა დაეცა ლუციფერი, მაგრამ გადარჩა.

მინაში ჩაძვრა, როგორც გველი, ისე დემონი
და ჯოჯოხეთი ააშენა...
მასში გამეფდა,
ტარტერის მეფემ ამდინარა იქ ფლეგეთონი,
შექმნა სტიქსი და გადაიქცა უმაღ ჰადესად.

სათავე ჰპოვეს კოკიტოსმა და აქერონმა,
ლეთეს ზვირთებში აღმოცენდა მალე ქარონი
და მიიწვია რქიან ტახტთან იგი დემონმა,
მისცა ნავი და ადინა ცეცხლის წყარონი.

ხოლო ქარონი იყო ხარბი, ვერცხლისმოყვარე,
მრგვალ ობოლოსებს აგროვებდა იგი მკვდართაგან,
მიცვალებულთა განსასჯელად მინოსთან ერთად
რადამანათისს უხმო თვისთან დამხე სატანამ.

როცა ქარონი აქერონზე მიმოდოდა,
როცა ცერბერი სდარაჯობდა წითელ კარიბჭეს,
როცა მინისქვეშ, ბელზებელთან, მზე ჩადოდა,
მაშინ ბნელმა და სიტკბოებამ კაცნი განიყვეს.

მე კი ვიდექი გრიგალივით მძაფრ ასწლეულში
და მეც ვებრძოდი შაითანის საშიშ გრიფონებს
და ყინულივით ცხელ სხეულში – სულ არეულში,
ვადნობდი სიტყვებს, მათ ვაძლევდი ცისფერ სტრიქონებს.

მე დავიბადე, ლუციფერი არ იყო მკვდარი
და ძველებურად ისევ ებრძოდა ედემს ჰენა,
იქ, ურჩხულების სამყოფელში, სიკვდილი შავი
დიდი ხნის წინათ, დემონურ ძალას უკვე შეექმნა.

ჩონჩხად ქცეული ბნელეთის სული ალესილ ცელით,
შავად მოსილი საიქიოს გზავნიდა ყველას,
ზოგს ტარტაროსში უხვდებოდა კართან ცერბერი
და ზოგი ცაში მიფრინავდა, როგორც პეპელა.

აღარ ხარობდა ირგვლივ სინმინდე და სიყვარული,
ურწმუნო მიწას მოსდებოდა კვლავ ბოროტება,
იყო სიყალბე და სატანის დღესასწაული,
არ არსებობდა სათნოება და შეცოდება!

მე დღეს ავიტან მთაწმინდაზე ჩემს ტანჯულ სხეულს
და კორიფეებს, მიძინებულთ, ვუხმობ, გამოჩნდნენ,
ჩვენ ხელოვნებით დავამარცხებთ ბნელეთის წყეულს
და დავიბრუნებთ უწინ დაკარგულ, ნანატრ სამოთხეს.

2013 წ.

ემიგრანტის ღამე

ახლა ღამეა
და ეს ჰაერი სხეულს მიყინავს, უცხოა ჩემთვის,
დღეს სიცივეა,
როგორც ყოველთვის და შორეული ძახილი მესმის,
მარტოდმარტო ვარ,
მე – უბინაოდ, სხვა მხარე მიჭერს გულზე მარწუხებს,
მე ხომ სხვაგან ვარ,
უცხო მხარეში, უსამშობლობა ისე მანწუხებს.
რა სიცივეა!
ანათებს მთვარე, სამშობლოსავით ისიც შორსაა,
მე ეული ვარ,
რადგან აქ ყოფნა უიარალოდ ჩემი მოკვლაა,
მარტოსული ვარ
მთვარეზე მეტად და სითბო გულში არ მესახება,
მე დაჭრილი ვარ
ღამეზე მეტად, ჩემი ქვეყანა რომ მენატრება!
რალაც მეძახის!
ეს ხომ სისხლია მშობელ მხარეში აჩქეფებული,
რალაც დამცინის!
ეს სიცივეა – უცხო მხარეში გამეფებული,
სადღაც მელიან!
იქ, სამშობლოში, ჩემი სახლია გრძნობით ნაგები,
სადღაც ვაკლივარ!
იქ, ჩემთან, სადაც მხოლოდ ფიქრია ჩემი წამლები.
ახლა ღამეა!
მე დავბრუნდები, ჰაერს ვისუნთქებ ნაზად ნაფერებს
და გათენდება!
სამშობლოს ხილვით და სიყვარულით რა დამაბერებს?!
ცივია მთვარე!
მე ჩემი ქვეყნის ყველაზე თბილი მნათობი მიყვარს,
მაგრამ სხვაგან ვარ!
და თუ მოვკვდები, გულს მიფარავდეს სამშობლოს მიწა!

2013 წ.

რა მჭირს?!

ღამე – მძიმე, როგორც მომაკვდავის სუნთქვა
დასწოლია ქალაქს, სისხლი ღვარად გასდის,
დახუთული სივრცე მე – მონამლულს ფიქრით
თითქოს ჩუმად მახრჩობს და ვიძახი:
რა მჭირს?!

გზა იმედის სადღაც, სიბნელეში ქრება
და ვერ ვლახავ, ვერა, მე სირთულეს ამ გზის,
აღარსად ჩანს ხსნა და მასთან ერთად შვება,
მე კი ისევ მძიმედ ვიმეორებ:
რა მჭირს?!

აღბათ, მოვა ჩემთან თვითონ ჩემი თავი,
აღბათ, მოვა მალე და შუაზე გამჭრის,
ჩამოდგება მერე განწირული წამი
და ქცეული ორად ისევ ვიტყვი:
რა მჭირს?!

ო, იქნება მერე უკვე ძლიერ გვიან,
გადაღლილი სულის დრო იქნება წასვლის,
გავეხვევი ნისლში და იგრძნობენ ტკივილს,
მე კი სხვაგან, მაგრამ მაინც ვიტყვი:
რა მჭირს?!

შეუპყრია ღამეს ქალაქი და გუდავს
და ეს ბნელი კიდევ რამდენ საათს გასტანს?
მონამლული ფიქრით ვიმეორებ:
რა მჭირს?!

მაგრამ ისევ ცივა და პასუხი არ ჩანს...

2013 წ.

მინდა ვიცოცხლო...

მინდა ვიცოცხლო,
მინდა ვიცოცხლო,
აღარ მსურს გულზე დარდი მომანვეს,
მინდა გიყურო,
მინდა გიყურო,
რადგან სიკვდილს ხომ მერეც მოვასწრებ.

მე შემოგხედავ ამაყი გრძნობით
და მერე თუნდაც ბრიყვი მიწოდე,
რა შორს გავეყვი თავგასულ გრძნობებს!
დღეს კი ამას გთხოვ:
ჩემთვის ილოცე!

მერქვას უსახო სევდისმზიდავი,
მერქვას ტკივილის უტყვი მორჩილი,
მაგრამ ვინ იცის, რა მარტოობით
და მწუხარებით ვარ შემოსილი?!

ოღონდ წაილე,
ოღონდ წაილე,
გული მძიმე და ცეცხლისმდებელი,
მერე კი თუნდაც მიწაზე მოვკვდე
და არ მელირსოს მე სარეცელი.

მინდა ვიცოცხლო,
მინდა ვიცოცხლო,
განა რა არის ჩემი სიცოცხლე?
ბზარშეპარული გრძნობების ხიდი,
სასოების და რწმენის სიმოკლე.

2013 წ.

მე სიყვარული ყველგან ვეძებ

მე სიყვარული ყველგან ვეძებ,
დიდხანს ვიარე მისი წყურვილით,
მაგრამ წვიმაში მომდგარ ცრემლებზე
ახლა მე უფრო ვარ განწირული.

მერქვა გრძნობაში გამოუცდელი
და ყოველივეს ჯერ უნახავი,
თურმე მელოდა სიტყვით უთქმელი
სიმშვიდე ტანჯვით დასაკარგავი.

მერე რა არის?
რით დავასრულე?
რით დავიამე გულის იარა?
მე განზრახული ვერ აღვასრულე
და გამიტაცა სადღაც გრიგალმა.

დღეს უნუგეშო გაყინულ სახით
და დამტვრეული ქარიან ძვლებით,
უკვე დაღლილი, ნაომარ ტანით
თავს ვერ ვიმშვიდებ უბრალო რწმენით.

დავდივარ მარტოდ, არვისთან ერთად,
თანამოაზრე აღარ მყავს გვერდით,
ვარ განწირული, ხომ იცის ღმერთმა,
როგორც წვიმაში მომდგარი ცრემლი.

2013 წ.

გერგეთის საგება

სადაც სილამაზემ ბინა დაიდო და
სადაც მყუდროებამ ღამე გაათია,
მეც იქ გავფრინდები სულის გადამრჩენი
და სხვებს დავუტოვებ, რაც კი მაბადია.

როგორც იადონის ტკბილი ხმოვანება,
როგორც ბულბულები ნაზი გალობანი,
ისე შემღერებულ მთათა სიმაღლეზე
ღმერთო, არ მოაკლო გერგეთს წყალობანი.

აღარც მწუხარება გულის საზიანო,
აღარც დამძიმება შენი დასარჩენი,
დღესვე ფრთებს გაშლი და სივრცეს გადალახავ,
მერე შენ გახდები სულის გადამრჩენი.

ის ხომ შენს წინაა ასე დიდებული,
ის ხომ ქართულია ასე მადლიანი,
ღელავს ქარებიან დღეებს შეჩვეული
გული საქართველოს – წმინდასახიანი.

ზევით აზიდული ღრუბლებს ეფერება,
შენც ხომ ზევით გინდა სული აამღერო,
ჩვენი სიამაყე, ერის საგანძური
შენს ცას ერკინება, ტურფა საქართველო!

რალაც უცნაური გრძნობა გეუფლება
და შენც ირინდები მსუბუქ სიზმარივით,
გიხმობს გერგეთი და შენკენ იყურება,
შერწყმა უსასრულოდ ცასთან სინამდვილის.

გერგეთს დიდება და გერგეთს ბრწყინვალება!
სულის აკორდების მხები ტაძარია!
უხმოდ შესცქერი და თან რომ უკვირდები:
ეს ხომ ზღაპარია!
ეს ხომ ზღაპარია!

სადაც ზეციურმა მინა ასაზრდოა,
 სადაც სილამაზემ უხვად იბატონა,
 იქ ხომ ტაძარია სულის გადამრჩენი,
 როგორც იადონის ტკბილი ხმოვანება.

მინის სიახლოვე, ნაზი სურნელება
 გათრობს არსებობის წმინდა მონაკვეთზე
 და შენც ბედნიერი გრძნობ, რომ ნაწილი ხარ
 ტაძრის – აზიდულის ღვთიურ გორაკებზე.

ლამით განათებულს ხარბად უყურებ და
 ხვდები, სიკვდილი რომ ველარ შეგაშინებს,
 მალე გაფრინდები, სივრცეს გადალახავ,
 გერგეთს მიაღწევ და მშვიდად დაიძინებ.

დილით მოფრინდება შენთან ღრუბელი და
 უკვე ამალღებულ სულით გაიღვიძებ,
 როგორც უმნიკველო და ბავშვი – უცოდველი,
 შენ ხომ განიწმინდე!
 შენ ხომ განიწმინდე!

ეს არც სიზმარია და არც ილუზია,
 ეს ხომ სასწაული მხოლოდშობილია,
 ახლა სინათლე ხარ სხივებს აყოლილი,
 უკვე სინმინდე და სრული იდილია.

წადი, გაფრინდი და მყინვარს დაეწაფე!
 მერე გათეთრებულ კალთებს უგალობე,
 წადი, მოიხსენი ყველა ბორკილი და
 სული, მონავარდე, გერგეთს უწყალობე!

ზევით აზიდული ღრუბლებს ეფერება,
 შენც ხომ ზევით გინდა სული აამღერო,
 შენი სიამაყე, შენი საგანძური
 შენს ცას ერკინება, ტურფა საქართველო!

2013 წლის 14 აგვისტო.

სმეზი სარკესთან ანუ შიშის აკოთეოზი

მაგიურ ძალთა მბრძანებლო, ისევ წაგანყდი!
ისევ არიე ოცნებათა ლურჯი ნავები!
იდუმალეზის მფარებლო, რად შემახსენე,
რომ განწირული სიკვდილისკენ მივექანები?!

„მე ვარ ფიქცია! სრული სიგიჟე და სიუცხოვე!
და ვირეკლები, როგორც პოეტი წყეულ სარკეში,
სარკე იცინის: აირეკლოსო?! ისიც პოეტი!
მერე ხომ უნდა ჩაებუდოს შიში თვალებში!“

„ილუზია ხარ და წამიერი! მე მებრალეები!
განმზადებული სიკვდილისთვის, ბნელი ფანტევი!
შენს მოგონებებს შეინახავს უცხო სამყარო!..
თუ არ გიყურებ, ვერ შემომხედავ, ვერა, სახეში!“

„ეგრე გგონია, რომ ვერ გიყურებ, როცა არ გინდა?
როცა თვალები დახრილი გაქვს, ფიქრობ, ვერ გხედავ?
შესაბრალისი შენ ყოფილხარ მართლაც პოეტო!
ამაში თვითონ დარწმუნდები, როცა შემხედავ..!“

.....
„და მაინც ვინ ხარ, რომ მიყურებ? ანდაც რა გინდა?
შენ არც სული გაქვს, არც სხეული და არც ფიქრები...
სხვა სამყაროდან მაკვირდები! მაინც რა გინდა?
მინდა, რომ გაქრე და შეჩერდეს ბნელი სიზმრები!“

„მე ვარ პოეტი! მე ვარ სიგიჟე! მე ვარ შეშლილი
კალიგრამივით აგებული!
ამას ავიტან!
საკუთარ თავს ხომ ვერ გააქრობ?!
ვერ გამიმეტებ!
შენ ხომ გიყვარვარ?!
მეც მიყვარხარ, თუნდაც სარკიდან...“

დუმილი მოდის, გაჩერდება ნაზად ტუჩებზე,
 იდუმალეზაც მოაბიჯებს თავის ზეობით,
 მე გადავსახლდი ჩემს სხეულთან, გარეთ კი მესმის
 ხმები სარკესთან ანუ შიშის აპოთეოზი...

2013 წ.

სისხლი მარაბდის

ჟამი – საღამო მარად ჟრიამულ
 სულიერ გზნებით მათრობს განაპირს,
 ღამე ნათენებს, წამით მხიარულს
 ფიქრი წამებით მმოსავს მარადის.
 როს შევისწავლი ცერზე სიარულს,
 ამოვხსნი დროის ბოროტ ჩანაფიქრს.
 დე, მანიჭებდეს სევდა სიხარულს,
 ჰგიებდეს მთაზე ჩემი კარავი.
 ხანჯლებით ვკვეთდე ფარდაგს ირანულს,
 ზურგს მიფარავდეს ცივი ნაზადი.
 ვახმიანებდე მთაში ჭიანურს,
 ვიყო მშობელი მიწის მფარავი.
 ოდეს მოჰყვება ტაიჭი ალურს,
 გავხდე ამ ბარის, ამ მთის სარანგი.
 სანამ შეკრავდეს მომხდური მარყუჟს,
 ხმალი ვაელვო ბოლო წამამდის.
 ვიდრე დათმობენ დიაცნი ნამუსს,
 ვთხარო მტაცებელ მტერთა სამარხი.
 ვიდრე ვუმტკიცებ მამულს სიყვარულს,
 სისხლი მანუხებს, სისხლი მარაბდის.

2017 წლის 27 მარტი.

* * *

ლომეკს მოადგა ღრუბელთა ჯარი,
გამოიღვიძეს მალლა ნისლებმა,
სადღაც მყინვარის გაისმის ზარი,
ცა კი მთებს ზემოთ წვიმად იცლება.

სძინავს დარიალს ღვთიური ძილით,
ველარ აღვიძებს თერგის ღრიალი,
დილას გაურბის მთებისკენ ბინდი,
დიდხანს მოუწევს ბინდს ხეტიალი.

მალალ ჭიუხებს წვიმამ შეძახა,
ზეცის თალს ქვემოთ რბიან ნისლები,
ღრუბლების უკან მზე დაიმალა,
ველარ აწვდინა მიწას სხივები.

2013 წ.

ლექსში დაკარგული

აღარ ჰყავს მთვარეს მთაწმინდისას თავის მეხოტბე
და უშექსპიროდ დარჩენილა წმინდა სონეტი,
საუკუნეთა ქარბორბალში გამოვლილ მუზას
შემოვრჩი ლექსში დაკარგული ერთი პოეტი!

ლამობს ოცნება, გააჭენოს ლურჯა ცხენები,
ფიქრთა დინებას ვედარ უძლებს გრძნობის კარიბჭე,
სულ ერთი წამით ავფეთქდები, გულს ავამღერებ,
სევდის ქარტეხილს გავექცევი, ფრენას დავიწყებ!

რამდენს შესწვდება უსათნოეს აზრთა კრებულები?!
რამდენს აიტანს შემოტევებს ჩემი გონება?!
მიყვარს აპრილში ნაწვიმარი მიწის სურნელი
და მაისებში გაზაფხულის გასტრიქონება.

მოდით! ვადიდოთ სიყვარულის უტყვი მონობა,
მოდით, ვადიდოთ! მივაგებოთ ერთურთს გულები,
მოდით! სადამდეც ხმა გაგვიძლებს, ერთხმად ვიმღეროთ,
მოდით, ვიმღეროთ, სანამ ყველა გავწარსულდებით!

2013 წ.

შენ ჩემში ხარ, საქართველო!

სიონისკენ გავაჭენებ ტატოს მერანს
გალაკტიონს მივაგებებ ლურჯა ცხენებს,
ვადღეგრძელებ საქართველოს სილამაზეს!
საქართველოს მზიან ზეცას ვადღეგრძელებ!

შემოვივლი სვეტიცხოვლის წმინდა ხატებს,
ნადიდგორალს მოვუყვები უტკბეს სიოს,
გადავუფრენ ალავერდის მაღალ გუმბათს,
გადავუფრენ ცად აზიდულ კავასიონს!

საუკუნოდ ჩავფიქრდები მტკვრის პირას და
მეტეხიდან ვინავარდებ მთანმინდამდე,
დავიჩოქებ ისევ მფეთქავ ილიასთან
და მწუხარე საქართველოს განვიქარვებ!

მარტოობას აღარა ჰყავს კავალერი,
მის გარეშე ლამეც ისე ეუღია,
სამხრეთიდან მტერი ქროლვით მონაბერი
რახსის თავში, ბასიანთან ძლეუღია!

მოვიგონებ ქართველების გამარჯვებებს!
ხატად ვაქცევ ჩვენი ქვეყნის ყველა მხარეს!
გადავლახავ ლიხის ქედს და ქუთაისში
ბაგრატიდან უსათნოეს დავრეკ ზარებს!

წყალწითელას ხეობაში ნადავითარს,
წმინდა გელათს მოვუყვები გულის დარდებს,
ფეხს დავადგამ მიძინებულ ბაგრატიონს,
განწმენდილი მოვიხურავ ტაძრის კარებს!

გელათიდან გავფრინდები აფხაზეთში!
იქ ხომ ჩემი საქართველოს ტკივილია!
ტირილია უკუჩრებელ ბეღიაში!
გასხვისებულ ბეღიაში ტირილია!

ვინ პატრონობს? ვის რად უნდა კურთხეული?!
 ვინ რას ხედავს, რომ სინმინდე ნაგვემია!
 გაშავებულ ღრუბლებს ქვემოთ ბედიში
 ერთიანი საქართველო ასვენია!

სამშობლო მაქვს საფიცარი – ვილას ვუთხრა?!
 მე რომ მიყვარს, დამიჯერებს ჩემი მინა?!
 მაგრამ მცხეთას ქვეყნის გული არ ცივდება
 და ამიტომ ამდენ ტკივილს უხმოდ ვიტან!

2013 წ.

ღმერთი

ღმერთი მოწყვეტით დაასკდა მინას,
 ზეცას დასდინდა ათასი წვეთი,
 სიმბოლურია ღმერთის დაღუპვა,
 კაცობრიობამ იმსხვერპლა ღმერთი.

ცოდვილი სული

სევდანარევი თვალებით ვქარგავ
ქაოსით მოცულ ცხოვრების საზღვრებს,
როგორ დამღალა ყველაფრის საზღვრამ,
არ შეიძლება ცოტა ხნით გავქრე?

ცოდვით ავსილი, უმძიმეს სულით
სულ უნუგეშოდ დავეძებ მოძმეს,
სადღა არსებობს უმანკო გული?
არ შეიძლება ცოტა ხნით მოვკვდე?

წლები მიდიან...
დრო არ ჩერდება...
და აი, ლექსის წერაც გავბედე,
უჩერებელო, ძვირფასო წამო,
არ შეგიძლია ერთ წამს გაჩერდე?

2013 წ.

რთულია, უთხრა: ნახვამდის!

ქარი იტაცებს ყვითელ ფოთლებს და სადღაც მიაქვს,
წვიმა ასველებს მყუდრო ქუჩას და ნაზად კოცნის,
დღე კი იღევა, ეფერება ბოლოჯერ ნიავს,
თვალებს არ უნდათ დაჯერება, რომ აღარ მოდის.

არის ცრემლები, არის დარდი, არის სიცივე,
არის გრძნობებიც დარჩენილი სევდიან გულში,
წვიმა არ წყდება, არც შეწყდება, მუდამ ინვიმებს,
ვარ უნუგეშოდ ჩავარდნილი ამ სიყვარულში.

ზეცა მძიმეა, უიმედო წვეთები სცვივა,
სალამოვდება, მარტოობით სავსეა ქუჩა,
ირგვლივ ხეები სველდებიან, ჩემსავით სცივათ,
ვხვდები არ მოვა, უკვე ვხვდები და თვალებს ვხუჭავ...

„ნუთუ ისაა?! ნუთუ ბოლოს მაინც მოვიდა?!
არა, ისაა! ისიც სველი აქეთკენ მოდის!
ჩვენ გავიარეთ გრძნობის ომი და იმ ომიდან
გამოვალნიეთ და ის ახლა აქეთკენ მოდის!

რა დროს წვიმაა? რა დროს ქარი? რა დროს სიცივე?
ჩემი სათქმელი უნდა ვუთხრა, ვიცი, დამაცდის!
აი, მოვიდა!
უკვე დროა!
ვინყებ: „იცი მე...“
მაგრამ მაჩერებს, მეუბნება ჩუმად: „ნახვამდის!“

და ვახელ თვალებს:
ისევ წვიმა, ისევ ქარია!
ისევ სველდება ირგვლივ ხეთა ნაზი ფოთლები...
მე მარტოსული ვიმეორებ: „ეს სიზმარია!“
და ამ სიზმრიდან დამრჩნენ მხოლოდ მოგონებები...

ისე რთულია უთხრა: ნახვამდის, რომ ველარ ნახავ,
ისე მძიმეა ეს მოლოდინი და ურჩი გრძნობა,
წვიმა ასველებს მყუდრო ქუჩას და კოცნის ნაზად,
თვალებს კი არ სურთ დაიჯერონ, რომ აღარ მოვა...

უბრალო სიტყვები

უბრალო სიტყვები
უბრალოდ რჩებიან,
ოცნებებს ფიქრები
ამაოდ ებრძვიან...

შეჩერდით წვიმებით
მოსილო დღეებო!
შეჩერდით უჩემოდ!
უბრალოდ მეებო!

შეჩერდი სიცრუით
მოცულო სამყაროვ!
შეჩერდი!
გრძნობები
გულს გადავაყარო...

ნასიზმრალ თვალებში
უდროოდ დავბინდდი,
მე უკვე შორსა ვარ,
გავფრინდი...
გავფრინდი...

2013 წ.

წვეთი ჰოზია...

* * *

მინდა ოდესმე ვილაცის ვინამო,
 მინდა ოდესმე მეც გამოვიცვალო...
 მინდა გრძნობები ზედ გულზე მაყაროთ,
 მინდა რომ მგავდე, შენ, წელო ახალო!

* * *

მე ისევ ის ვარ...
 ისევ იმ გრძნობით
 მიყვარს აპრილის ამაყი სითბო...
 მიყვარს სილურჯე მაღალი ზეცის...
 მიყვარს მაისი თვალებს რომ მითბობს...
 მე ისევ ის ვარ...
 ისევ იმ გრძნობით
 მიყვარს სილურჯე მაღალი ზეცის...
 მაგარამ ოდესმე ბედს მოვწყინდები
 და უნუგეშოს ბოლოჯერ მესვრის..!

* * *

ღმერთო, მაპატიე სიმარტოვე,
 ტანჯვის სიახლოვეც მაპატიე...
 დილა მასზე ფიქრით დავიწყე და
 ღამეც მასზე ფიქრში გავათიე...

2013 წ.

* * *

მინდა გადმოვფრინდე დროთა სიმაღლიდან,
მინდა სიყვარული ფრენით მოვიპოვო,
სევდა აღარ მტოვებს, მაინც ვერ მეღევა,
მოდის, მომიხილეთ, ღამის კორიფეო!

მოდის მთანმინდიდან, მოდის მდუმარებით,
მნახე შენიანი – უღვთოდ განწირული!
მნახე საღამოდან პირველ აისამდე:
გული – გაყინული,
სული – გარიყული!

გზებმა გადმოკვეთა დროის ნაპრალები...
ისევ შევიქცით თავი საუბრებით,
ამდენ ტკივილებში, ამდენ წამებაში
ჩვენ ხომ გავუძელით, ჩვენ ხომ გავუძელით!

ველარ ვიმორჩილებ მომდგარ ემოციებს,
ბნელში ვიძირები, დროა შელამების!
მოდის, მომიხილეთ ღამის კორიფეო!
უღვთოდ დარჩენილთან მოდი მდუმარებით!

სისხლი გამიჩერდა სრული უძრაობით,
დარდით არეული ცრემლიც შედმეცია,
შენ რომ მპირდებოდი ღამის სასწაულებს,
გარეთ მოშრიალე ჩუმი ვერხვებია!

მინდა გადმოვფრენა დროთა სიმაღლიდან,
მინდა სიყვარულის ფრენით მოპოვება,
დროის ნაპრალებთან უღვთოდ დაფიქრებულ
მაღე ქარს გაატანს ჩემს თავს მოგონება..!

2014 წ.

ისევ მარტო ვარ, ისევ!

ისევ მარტო ვარ, ისევ!
 აღარ ვახსოვარ წამებს!
 იქნებ დავჭირდე ვინმეს,
 იქნებ დასრულდეს ღამე!

ისევ მარტო ვარ, ისევ!
 და მწუხარება მათოვს!
 მე ხომ ივლისი მყინავს
 და იანვარი მათბობს!

რალაც მაკლია სულში!
 სადღაც გაფრენა მინდა!
 მზესთან მამყოფა ახლოს!
 სული მქონოდე წმინდა!..

მე დავეხსნები სხეულს
 და გავფრინდები ცისკენ,
 შეჩერებაა რთული,
 როცა სიარულს იწყებ!

ისევ მარტო ვარ ახლა!
 და ტკივილები მიტევს!
 მე დავეხსნები სხეულს
 და გავფრინდები ცისკენ!

რალაც მორჩება მერე!
 რალაც ბავშვივით წმინდა!
 რალაც მაკლია სულში!
 ცაში გაფრენა მინდა!

ისევ მარტო ვარ, ისევ!
 დარდმა გრძნობები იცნო!
 თითქოს დავსრულდი წამით,
 ცისკენ გავფრინდი თითქოს!

როცა წვიმდება

თვალემა იცნეს
შენი სახის ნაზი ნაკვთები...
მერე განვიმდა...
შენ ქუჩაში მარტო გახვედი...
ახსნა არ მინდა...
ლვინის ნაცვლად ცრემლით დავთვრები...
მაშინ გინატრებ,
როცა ბედის მსხვერპლი გავხდები...
თითებმა იგრძნეს
შენი ტანის ნაზი შეხება...
არ ხარ და თითქოს
ჩემი თავიც მაშინ მბეზრდება...
არაფერს გეტყვი...
შენ ფოლადის გული გექნება,
ოცნებებს წაშლი,
გადააქცევ ცრემლის წვეთებად...
გიხილე იმ დღეს
და ყოველდღე ხილვა მინდება!
როცა ვერ გხედავ,
თითქოს იმ დღეს მალე ბინდდება!
განაპირებულს
ეს ცხოვრება სწრაფად მწყინდება,
ყოველთვის მტოვებ,
როცა ამოდ გარეთ წვიმდება...

2014 წ.

Extremum Iudicium

აჰა, აღსრულდა ნება ღვთისა ამა სოფელსა!
 აჰა, საქმენი მოეკითხოს უფლის მგმობელსა!
 მიეცეს წყალი უსასყიდლოდ მწყურვალს წყაროდან!
 აჰა, წყალობით მოისვენონ მათ საბრალომან!

მოვიდა იგი, ანი და ჰაე, რომელ განსაჯოს!
 ყოველი ცრუ და შებილწული ორგზის დასაჯოს!
 ტბაშია ხვედრი ყოველ მკვლელთა და ურწმუნოთა,
 ხოლო ქალაქში, დიდებულში, მით უბინოთა!

ესე ქალაქი გაანათა უფლის დიდებამ,
 სადაც ღვთის ძალით უწმინდური არ მიისვლება!
 ვერც ერთ სიცრუეს და სიბილწეს ოდენ ჩადენილს,
 ვერავინ აქცევს კრავის წიგნში წმინდად ჩანერილს!

ქალაქს არა აქვს მზე და მთვარე გასანათებლად,
 არ ძალუძთ კაცთა იგი ქებად და აღსაწერად!
 წმინდა განგებით მისი სასანთლე მხოლოდ კრავია,
 იქ, სადაც მხოლოდ გულმართალი კაცნი არიან!

ხოლო მეძავთა, კაცის მკვლელთა და ურწმუნოთა,
 რომელთაც მუდამ ბოროტის ქმნა გულით სწყუროდათ,
 ხვედრია ტბაში, ცეცხლმოსილში, გოგირდნარევში,
 სადაც წამებით მოკვდებიან ვნების წამებში!

თეთრი ტახტი და ზედ მჯდომარე...
 გარბოდა ზეცა...
 გარბოდა მიწა...
 და განკითხვა ისმოდა წესად!
 მრავალნი მკვდარნი...
 დიდები და პატარები...
 ზოგნი დამტკბარნი სიამით და ზოგნიც – წამებით!

იდგენენ ტახტის წინ...
გადაშლილი იყო წიგნები...
და მოისმოდა განსაკითხთა მძიმე სიტყვები!
და განსჯილ იქნენ მკვდრები წიგნის ნაწერებიდან!
კვლავაც მოჰყავდათ მკვდრები ლურჯი, შორი ზღვებიდან!

ახალი ესე ცა და მიწა...
ძველი გარდახდა...
ყოველი ძველი დასალუბად ღვთისგან განმზადდა!
ზღვები არ იყო...
მხოლოდ ერთი, წმინდა ქალაქი...
და მისი მსგავსი არ ენახა ქვეყნად არავის!

და მოისმოდა ტახტიდან ხმა, ღმერთი ამბობდა:
„ალარ იქნება ტანჯვა, გვემა, ვნება და გლოვა!
აჰა, კარავი ღვთისა კაცთა შორის მდებარე,
რომელ მოსწმინდოს კაცთა ცრემლი თვალთან მდებარე!

ღმერთმან განსაჯა ყოველივე და ჰქმნა ახალი!
აჰა, მიიღო თავისთან მან კაცი-მართალი!
ყოველი ესე, სარწმუნოებით მართლად დასრულდა!
ღმერთმა საქმენი განასრულა და თქვა: აღსრულდა!

ხოლო თქვენ, მკვლელნო, უმეცარნო, სულით ბოროტნო!
როგორ გააძრეთ კანი წმინდა ბართოლომეოს?!
როგორ არ ფიქრობთ, ცოდვილებო, საკუთარ თავზე?!
როგორ გალურსმეთ ქრისტე ღმერთი უღმერთოდ ჯვარზე?!

როგორ არ გტკივთ ნამებულთა უსიტყვო ვნება?!
როგორ უგრძნობლად დაარღვიეთ ათივე მცნება?!
როგორ არ ფიქრობთ, ცოდვილებო, საკუთარ თავზე?!
როგორ მიგყავდათ ქრისტე ღმერთი გოლგოთას გზაზე?!

როგორ არ გტკივთ ნანამები, მძიმე სხეული?!
როგორ არ გტკივთ დახუთული, სული-რღვეული?!
როგორ არ ფიქრობთ, ცოდვილებო, საკუთარ თავზე?!
თქვენ რომ შეგეძლოთ, ღმერთს მეორედაც გააკრავთ ჯვარზე!

იგვლივ სიცრუე...
მხოლოდ სიცრუე...
ცოტა სიმართლე...
თქვენ ხომ ბნელეთსაც იხსენიებთ ღვთიურ სინათლედ!
ახალი ზეცა...
ახალი მიწა...
ახალი წამი...
ღმერთი გახსოვდეთ, უმეცარნო!
ახლოა ჟამი...

ჰე, მოდი უფალო იესო!
ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მაღლი ყველა წმინდასთან,
ამინ!

(ლექსი დაწერილია „იოანეს გამოცხადების“ მიხედვით“)

2014 წ.

„666“

ღამეა... ბნელეთის უმიწო გვამები
ღვთაებრივ სიმშვიდეს ღრიალით აფრთხოვენ,
მიხრწნილი ხორციით და სხეულის წამებით
ზეციურ სიჩუმეს უღმერთოდ ახრჩობენ,
მოდიან უმიწოდ, უსახოდ გვამები,
ცეკვავენ, ყვირიან, სიბნელით ხარობენ.

ღამეა... სიცივე... ცოდვების სანყისი,
გვამების სიხარულს არა აქვს საზღვარი,
სავსეა ცრემლებით რქიანი სასმისი,
სისხლშია გასვრილი ჯერ ისევ სამსჭვალი,
უნიჭოდ შეთხზული, ტკივილით აღვსილი
ყურებში ჩაისმის ბოროტი ზღაპარი.

ღამეა... სევდისფერ ზენარში გახვეულ
გვამს უცდის ცეცხლოვან სივრცეში სატანა,
სულს – შიშით შემოსილს, უღვთოს და დახეულს
მოუწევს წამების ზვირთების ატანა,
განსჯიან მკვდარ სხეულს, სიცოცხლით დამშეულს,
რადგან მან ვერ შესძლო მოყვასის გატანა.

2014 წ.

სამართლებელი

სული უნმინდურად გაინაბა,
 თითქოს ენვიაო აგონია,
 ვინრო კუთხეებში იკარგება,
 სევდით აწყობილი ჰარმონია...

რალაც უცნაური შემოტევა...
 გარეთ მოსისინე ქარებია,
 შენტან წამოსასვლელ ბილიკებზე
 ვგონებ, ერთადერთი კარებია...

გული სილურჯეში იძირება,
 თითქოს მემატება მღელვარება,
 ისე მტანჯველია მიძინება,
 როგორც ჯოჯოხეთის ელვარება!

წამო, ოცნებები დავიჭიროთ,
 წამო, საბოლოოდ საბრძოლველად,
 მესმის და შორიდან მეძახიან,
 ვხედავ და მიწყობენ სახრჩობელას...

სული უნმინდურად გაინაბა,
 ტანჯვას აღარ უჩანს დასასრული,
 ვინრო კუთხეებში იმალება
 სევდით აწყობილი აღსასრული...

2014 წ.

ბაბან ში

მე მივდიოდი ულრან ტყეში გზადაკარგული,
სველი ფოთლების მღვრიე ზღვაში დავაბიჯებდი...
სვედიან წვიმით და ტკივილით დანამულ სახეს
მეგონა, ნისლში და ბურუსში დავამინებდი.
ჩუმი საღამო...
ირგვლივ სივრცე – ხავერდისფერი...
და ყავისფერი ნაფოტების უღვთო წამება,
ჭაობისფერი დედამინის მძაფრი სურნელი
და უთვისტომო დღის იისფრად შემოღამება...
ახალი მთვარე...
შორეული სავსებადობა...
უნუგეშობით ატირებულ ხეთა შრიალი...
ცა – ფირუზისფერ ელფერებში დამშვიდებული,
ახლა ყოველი ამბოხება არის გვიანი...
აღბათ, არსებობს ქვეყანაზე სრულყოფილება
და აღბათ, ისიც ფერთა მშვიდი შეხამებაა,
ხმები ღვთიური...
ხმები ფოთოლთა მწყობრი გალობის,
ჟანგისფერ ხეთა ეს უსიტყვო შეთანხმებაა.
ბალახისფერი...
ირგვლივ მხოლოდ ბალახისფერი...
ბნელი ჩამონვა...
ეს დღეც იყოს დაბინდებისა!
ინტენსივობა...
მხოლოდ ფერთა ინტენსივობა...
მშვიდი სამყარო...
ნამი იყოს მიძინებისა...
შორეულია...
ხმები ხდება განურჩეველი,
თითქოს სითეთრე შემომანვა ნატკერის ახდენად.
სიმბოლურია...
ნაცრისფერიც სიმბოლურია,
ბუნებრივია თითქოს ახლა თვალის გახელაც...
ილუზიაა! აღარა ვარ უკვე ეული,
წინ ხომ ღვთაება მეკვლინება ანაზღეულად...
მწვანით მოსილი...

თითქოს სხვაა განზომილება,
 ჩემს წინ ღვთაება გაჩენილა სიზმარეულად.
 სრულყოფილია...
 თითქოს სივრცეც სრულყოფილია...
 ქალის შეხედვით მოყოლილმა დარდმაც დამცალა...
 ამ ზეციურმა, სიბნელიდან წარმოშობილმა
 თითქოს უთქმელად ცხელი გული ამომაცალა...
 წარმოსახვაა...
 დაცლილი ვარ ახლა სისხლისგან
 და ღვთაებამაც შემაცდინა, მსხვერპლი გამხადა...
 ჩემი მიწიერ სისხლისაგან წყურვილ-მოკლულმა
 ქალის პირსახით შენიღბულმა ახლად დამბადა...
 არის წვიმებით შემოსილი ღამის სიმღერა!
 არის ბალახის სურნელებით სავსე სამყაროც!
 მშვიდი გარემო...
 ირგვლივ სივრცე – ხავერდისფერი...
 მაიძულებენ, იარაღი სწრაფად დავყარო!
 მე მივდიოდი უღრან ტყეში გზადაკარგული,
 სველი ფოთლების მღვრიე ზღვაში დავაბიჯებდი...
 სევდიან წვიმით და ტკივილით გარემოცული
 ვერ ვიფიქრებდი, ბაავან შის თუ გავალვიძებდი...

2014 წლის 16 მარტი.

აზონია

დალენეთ ზღვრები ჯერ არ ნახული,
დახიეთ სული ტანჯვის ეკალით,
ათასწლეულის პირქუშ მიჯნიდან
მომესალმება ჩემი ცხედარი.

გააღეთ კარი – ცეცხლმოღებულ
და გადაადნეთ სისხლის წვეთები,
ათასწლეულის პირქუშ მიჯნიდან
ბნელ სივრცეებში გადავეშვები.

დაყარეთ გზებზე ცივი გვამები,
რომ უკვდავებამ წყალი დალიოს,
უბოროტესი ღამის სიზმრებით
შევეგებები დილის ალიონს.

მიხილეთ ხორცის უტყვი მოწამე
და ტკივილებით სავსე მხედარი,
ათასწლეულის პირქუშ მიჯნიდან
მომესალმება ჩემი ცხედარი.

2014 წ.

ღამე

ღამე...

ჩემი სულის ტკივილების მზიარები ღამე...

ღამე...

დაკარგული ფიქრების და ოცნებების ღამე...

ღამე...

მწველ სიზმართა ქარიშხლებში გახვეული ღამე...

ღამე...

დარღვეული რწმენისა და იმედების ღამე...

მერე რა, რომ არ იქნება დილა,

მერე რა, რომ არ გავახელ თვალებს,

მერე რა, რომ არ ამოვა მზე და

მერე რა, რომ არ შევიგრძნობ წამებს...

ღამე...

უიმედოდ დარჩენილთა მეგობარი ღამე...

ღამე...

ბნელ ზრახვათა თანხვედრაში ჩამომდგარი ღამე...

ღამე...

საბოლოო ამოსუნთქვას შესწრებული ღამე...

ღამე...

ურწმუნობის მორევებში ჩაძირული ღამე...

ღამე...

2014 წ.

* * *

მანამდე მინდა ვიცოცხლო, ღმერთო,
უღვთო განწყობებს სანამ ავიტან!
დაუსრულებელ ფიქრთა ნაკადში
ოცნებებს ვინყებ ისევ თავიდან.

მანამდე მინდა ვიცოცხლო, ღმერთო,
სანამ ქაოსი ქარებს გამატანს,
დაუსრულებელ ფიქრთა ნაკადში
გამომაცლიან ბოლო ბალავარს!

მანამდე მინდა ვიცოცხლო, ღმერთო,
სანამ შემრჩება გული სამინედ,
დაუსრულებელ ფიქრთა ნაკადში
ამოუცნობი ქარი წამიღებს!

მანამდე მინდა ვიცოცხლო, ღმერთო,
სანამ შემრჩება წმინდა გრძნობები,
სანამ შეცვლიან მომდგარ იმედებს
სალამოსფერი მოგონებები!

მანამდე მინდა ვიცოცხლო, ღმერთო,
სანამ სიკვდილი საზღვრებს დაარღვევს,
სანამ ცხოვრებას მარადისობა
საბედისწერო ნისლში გაახვევს.

ვიცი, მანამდე ვიცოცხლებ, ღმერთო,
ვიდრე ამაოდ გეძებ ხატებში,
გეძებ ქუჩებში, გეძებ ზეცაში,
გეძებ ქარვისფერ განთიადებშიც..!

ვიცი, იქ არ ხარ, სადაც დაგეძებ,
სადაც მოკვდავნი ხშირად მხვდებიან,
შედეგი არ აქვს შავ-თეთრ მასებში
უმისამართოდ, უცხოოდ ხეტიალს..!

მანამდე მინდა ვიცოცხლო, ღმერთო!
უნმინდურ ყოფას სანამ ავიტან!
დაუსრულებელ ფიქრთა ნაკადში
ოცნებებს ვინყებ ისევ თავიდან...

წინაპრებს

სად ხართ აჩრდილნო?
 უსხეულნო,
 დროში გავრცელნო!
 ვინლა იგონებს თქვენს სახელებს, თქვენს ნამოქმედარს?
 ვინლა აკითხავს თქვენს საფლავებს, წმინდა საძვალეს?
 ცრემლში გარეულ მინაშია თქვენი სადგომი!
 სისხლით ავსებულ თვალებშია თქვენი აღდგომა!
 უფრო მანვალებს!
 იმ ნასახლართა ახლოს ყოფნა უფრო მაშფოთებს!
 უფრო მაოცებს!
 თქვენს სახეებზე აღბეჭდილი დროის დინება!
 უფრო ცივდება!
 დარდით შენისლულ სივრცეებში სძინავს სიმშვიდეს!
 მშვიდად იძინეთ!
 თქვენს ტკბილ ნაყოფთა სადიდებლად უტყვო ფესვებო!
 სევდის სვეტებო!
 თქვენს მიუსაფარ ოცნებათა მშობლად დიოდით!
 მშვიდობით!
 იყოს ნათელი მოვლენილი თქვენს სამყოფელად!
 იყოს წყალობა სულთა თქვენთა შესაფარებლად!
 იყოს შენდობა
 და შეცოდება!
 მაღალი ღმერთი ჰპატრონობდეს იმ თქვენს სავანეს!
 ზეცის ლაყვარდებს!
 წმინდა სამარხებს!
 ძვალთა გროვაში გამინებულ თქვენს მოგონებებს
 გულში ვინახავ!
 მოვალ ოდესმე!
 ვიცი, დამხვდებით ძველი გრძობებით!
 მოგონებებით,
 ვარსებობ მხოლოდ არეული მოგონებებით!
 იმ თქვენს საფლავებს,
 საბოლოო განსასვენებლებს
 ჩოქვით მოვალწევ!
 და გავიხსენებ თქვენს ნამოქმედარს
 და თქვენს სახელებს!
 თქვენ კი იხარეთ ღვთიურ ნათელში და კამარებში!
 ან და მარადის,
 უკუნითი უკუნისამდე!
 ამინ!

ზღვის ქალწული

წყლის ბროლისფერი ქაფისაგან წარმოშობილი
ზღვის სპილოსძვლისფერ ნაპირებთან უხმოდ ვიდექი...
მზით განათებულ ზედაპირზე გაბნეულ გრძობებს
მეგონა, ზღვიურ სურნელებას მივანიჭებდი...
ბინდდება ირგვლივ...
და სიბნელეც ბევრდება სწრაფად...
შორსაა ზეცა...
მის სილურჯეს არა აქვს ზღვარი...
მზე იკარგება მარტოობის გრძნეულ ზვირთებში
და აღისფერი სიკაშკაშით ენთება წამით.
„ო, ზეციურო, ძალთა შორის უნეტარესო!
შენ მომანიჭე სათნოება შორით შეთენილი!
ცოდვებით სავსეს, ურწმუნობის პირას მიწეულს
შენ დამახვედრე გზაზე წესნი, წმინდად ფენილი!“
ხმაურობს ზღვა და ამ ხმაურში ვუჩინარდები...
თვითშეპყრობილი მდუმარებით შევეყურებ ზეცას,
ცივია სივრცე...
ვიმორჩილებ გაყინულ სახეს...
ძლივსლა ვერევი უნუგეშო სინათლის კვნესას!
ხმაურობს ზღვა და ამ ხმაურში მოისმის ხმები
შორეული და სიზმარავით მიუნვდომელი...
ილუზიაა...
ილუზია...
ჩერდება სუნთქვა...
და მეცხადება ზღვის ქალწული – შეუნვდომელი!
ირგვლივ სიმშვიდე!
სრულყოფილება!
ისმის სიმღერა!
ისმის ტალღების უწვეტობის საამო ხმებიც,
სულ ოქროსფერი...
ზღვის ქაფისგან დასველებული
ზეციურ ხილვად გადაამექცა ქალწულის თმები.
ღვთიურ საღამოს ზღაპრისაგან მოჯადოებულს
ზღვის სამეფოსკენ წარმიტაცებს წყლების არსება...
და იქ, უსულო არსებებთან ცხოვრების გზაზე
ო, აღარასდროს გავექცევი მარტოდ დარჩენას!

„სულს და სიყვარულს მე მოკვდავთან ამაოდ ვეძებ
 და რადგან აქ ხარ მარტოოდენ ერთი მოკვდავი,
 მომეცი ნება, შენს სიყვარულს დავეპატრონო,
 წამოდი, მსგავსად ჩემდა იქმენ უკვდავი!
 და თუკი მაინც არ წამოხვალ, სამი თხოვნა გაქვს,
 რაც გინდა, მთხოვე, აგისრულებ ყველა შენს სურვილს,
 ოღონდ იჩქარე, გათენებამ არ მოგვინიოს
 და სამუდამოდ არ ჩავვარდე მოკვდავის გულში!“
 „არაფრით ძალმიძს მე მიწიერს ზღვების ქალწულო,
 რომ მეც შელკივით გადავცურდე უძირო წყლებში!
 რადგან დღეს აქ ვართ, ზღვის ოქროსფერ სანაპიროსთან,
 მეც მორიდებით, სირინოზო, სამ სურვილს გეტყვი!
 პირველად მინდა, რომ გადმოგცე შენ ჩემი სული,
 მეორედ მსურს, რომ ჩემს სიყვარულს დავეპატრონო,
 სულ ბოლოს მინდა, უკვდავება დათმო დღეიდან,
 მოკვდავი გახდე და არასდროს აღარ დამტოვო!“
 ამაზედ შეკრთა, გაირინდა უცბად ქალწული,
 სიტყვა ველარ თქვა, შემომხედა ანაზდეულად,
 ღვითიური სახე ცხელი ცრემლით გადაეფარა,
 ზურგი მაქცია და განმშორდა სიზმარეულად...
 წყლის ბროლისფერი ქაფისაგან წარმოშობილი
 ზღვის სპილოსძვლისფერ ნაპირებთან უხმოდ ვიდექი...
 მზით განათებულ ზედაპირზე გაბნეულ გრძობებს
 მეგონა, ამ დღეს ზღვების ქალწულს მივანიჭებდი...

2014 წ.

სიკვდილი ქარში

სიკვდილი ქარში,
გალაკტიონი მუხლამდე წყალში,
შენაკადივით ერთვის მდინარეს,
ქარიშხალივით ებრძვის ჰორიზონტს!
დილის ბინდივით ქრებიან დღენი,
რძისფერ ნაპირთან მოცურდა გემი,
სულ ერთი წამით!
სულ ერთი წამით!
ყური დაუგდეთ ბოროტ მსოფლიოს!
შორი ჩურჩული
და ოცნებათა სველი შრიალი,
ღამის ურჩხული...
ახლა უბრალო დუმილიც კი არის გვიანი,
ახლა მდუმარე წუხილიც კი არის გვიანი,
ახლა ბნელეთის სიმღერების მეფობს წყურვილი!
მიპყრობს სურვილი,
მშრალ კალაპოტში იდუმალი ფერთა გამები
მთვლემარე ჩრდილთა სამეფოში წყნარად წვებიან,
ილანდებიან მდინარეთა შენაკადები,
სიკვდილის ქართა სამყოფელში ილანდებიან...
სიკვდილი ქარში,
გალაკტიონი მუხლამდე წყალში,
სისხლით დაცლილის შემზარავი, მძაფრი სურნელი –
წყალგარეული, მენამული წამით-წამამადე...
ბოლო ღამამდე!
წასვლა ჩრდილების სამეფოში შებინდებამდე,
წასვლა სიკვდილის ქარებიან დღეთა დენაში,
ფიქრთა დევნაში!
დარდით ალენილ ცისფერ წყებაში
ჩნდება სიკვდილი შავოსანი ქალის ფორმაში,
ქართა კრთომაში!
დღეთა კრთომაში!
კვდება სიმწვანე არეული წვიმის წვეთივით
და სიუცხოვე კარებს უკან ამოპარულა!
ჩამწვარ სანთელთა უსულდგმულო, უღვთო ღვენიტივით,
მუხლამდე წყალში მარტოობა ისე ჩაღვრილა,

როგორც სიკვდილი უხმაუროდ ერწყმის გარემოს,
 როგორც ქარები ანუხებენ ჩრდილთა სამეფოს!
 სიკვდილი ქარში,
 გალაკტიონი მუხლამდე წყალში,
 ვერსად გაურბის დროთა სიმოკლეს..!
 სულ ერთი წამით!
 სულ ერთი წამით!
 ყური დაუგდეთ ბოროტ სიცოცხლეს..!

2014 წ.

ინის სიზმარი

ინი – სისადავე, ევა და სისინი,
 სინა – ხშირად იტევს სვეტი დარიშხანის,
 ინი – მზის არშია, ინი – ცის მარშია,
 ინის სიზმარშია, არსობს, ვით იანი.

ინი ცის რაშია, ინი სიზმარშია,
 ველი დაიგველა – ირგვლივ სიგლუვეთი,
 შრამი იშხამება გესლით ალესილით,
 სინას გრიფონებმა შექმნეს უკუნეთი.

სერზე მესერია, მასრით დასერილი,
 ინი ინანიებს, ხარობს სინა გულით,
 ინი სინაზეა, მინა სილაზეა,
 სარკედ ირეკლება წმინდა სინანული.

ინმა უკვდავება უნდა წარიტაცოს,
 დარჩეს მარტოოდენ სულის ლიტანია,
 სინას სიკვდილისთვის ინი ემეტება,
 სინამ ჯერ არ იცის – ინი სიზმარშია.

ინი – სისადავე, ევა და სისინი,
 გველმა დაიგრძელა ქედი ალუმინის,
 ინმა წარიტაცა კაცთა უკვდავება,
 დროა განთიადის, დილის და წუხილის.

შავი გემი

ცივმა ჟრუანტელმა ტანში დამიარა,
სევდა სამწერტილობს ისე გამეტებით,
ფიქრთა ამბოხია ნუხელ რომ მტანჯავდა,
თუ ეს სიზმრებია ბნელი ღამეების?!

ცრემლი ისადგურებს ყირმიზ ბილიკებზე,
ზეცა ირეკლება ისე მგლოვიარედ,
ყალბი ოცნებებით სხეულ-დალენილმა
ზღვრები – მენამული – ჩოქვით მოვიარე..!

ჟამობს დეკემბერი გრძნობამორეული,
ისევ ძველებურად დროა, შებინდების,
გამქრალ მოგონებებს უკან ავეკიდე,
აღბათ, ველარასდროს ველარ შევიცვლები.

სულის უქონლობა ჩვევად გავიხადე,
ფიქრთა ნაკადებში ცურავს შავი გემი,
თეთრზე ამოტვიფრულ სიტყვებს რა აზრი აქვს?!
მეც ხომ დავმთავრდები, მეც ხომ დავიღვევი..!

რალაც უცნაურად ვდგავარ ჯვარედინზე,
მეც ხომ ჯვართამზიდი ჩემი არსებობის,
ჯერაც იდუმალი ფიქრთა სიბოროტე
მაინც არ შორდება, არა, ამ მოლოდინს!

წამის შეჩერებას ცდილობს შორეული,
სადღაც ჩაძირული, მშვიდი მელოდია,
ჩემი მეგობარი ღამის აჩრდილები
თითქოს რიგ-რიგობით, უხმოდ მშორდებიან.

ზეცას მიხატული უცხო სილუეტი
რალაც ვერ ერევა ღიმილს – ირონიულს
და მეც ვეგებები უცხო ნაბილიკარს
და მეც ვერ ველევი მიწას ამქვეყნიურს..!

ქრება სიზმარივით ღამის მსხმოიარე
 ეშმა-დანყველილი ცოდვის ნაყოფები,
 სისხლით იბერება ხეთა გამომხმარი,
 ხეთა გამომპალი ხსოვნის ნაფოტები.

ღამე – უსულდგმულო, ღამე – სევდიანი,
 ღამე – დარღვეული მძიმე შეკითხვებით,
 უნდა მომეშველო, უნდა მიპატრონო,
 თორემ გამთენიას სულ მთლად შევიშლები!

სივრცე მენამულად ისე გაისუდრა,
 თითქოს დაგრიგალობს მასში დასასრული,
 ცრემლით შენისლულა მინის წიაღები,
 თითქოს სიმშვიდეა მათში ჩამარხული!

სულის სნეულება ძლიერ მომეძალა,
 სევდა სამწერტილობს ისე გამეტებით,
 ეს ის ფიქრებია, გუშინ რომ მყინავდა,
 თუ ეს სიზმრებია ბნელი ღამეების..?!

2014 წ.

ჩემი არსებობა

ჩემი არსებობა სევდით შევერცხლილი
ლამის უიმედო, უღვთო სიზმარია,
როგორც აჩრდილები მრუშე ბილიკებზე
მოდის დასასრული და მეც მიხარია.

მსუბუქე ბიალონში ხორცი გავახვიე,
სძინავთ ბელიერებს აქვს დავანებით,
ყომრალ დედამინას ველარ შევეჩვიე,
წამზე უსწრაფესად მიჰქრის საათები!

ლამის წყვდიადიდან შხამად ნაწყაროვე
მძიმე ბორკილივით მტანჯავს მარმენიო,
იქნებ გასპეტაკდეს სულის სიბინძურე,
იქნებ ოცნებებში ურვა არ ერიოს.

ხორცის უხანობა გულში ჩავიმარხე,
ბოლო თვალთმაქცივით ვსუნთქავ ანგარებით,
წუთის უაზრობა, წამის უაზრობა...
წამზე უსწრაფესად მიჰქრის საათები!

მინა – დახეთქილი დროის ნაპრალებით,
ირგვლივ მსტოვარვით უნდო სიმყუდროვე,
იქნებ ოცნებები სევდით დაიცალოს,
იქნებ გაიფანტოს სულის სიუცხოვე!

სახე უცრემლობით ისე ჩამომხმარა,
როგორც შორეული ხეთა ნაფოტები,
ქრება სიზმარვით ლამის მსხმოიარე,
ეშმა – დაწყველილი ცოდვის ნაყოფები.

სივრცე – უჰაერო, ცოდვით გაჟღენთილი,
ისევ ახლოვდება სუნთქვის გახშირება,
იქნებ შემიბრალონ, იქნებ შემინყალონ
ჩემმა მეგობარმა ლამის აჩრდილებმა.

ირგვლივ სიმძიმეა, ირგვლივ – სნეულება,
სული მობეზრება, თითქოს არაფერი,
აღბათ, არ აპირებს გული გაჩერებას,
წამზე უსწრაფესად მიჰქრის საათები!

ღამე – კუბრისფერი, უცხო ფარდაგივით,
ისე ახლოსაა...
მოდის დასასრული,
აღბათ, შარავანდედს ვეღარ მოვესწრები,
სადღაც ბნელეთებში ბორგავს აღსასრული.

2014 წ.

გმირთა სულები

იდუმალებით მოცულ მინაში,
ქართულ მინაში, იმ უკუნეთში,
გმირთა სულები თითქოს ბორგავენ
და ჩურჩულებენ იქ, სიჩუმეში:

„არ დაივიწყოთ, თქვენ, ქართველებო,
რაც არის ჩვენი სამშობლოს ვალი,
ისტორია ვართ ყველა ქართველის,
სისხლით მორწყული ნათელი კვალი.“

ქართული რწმენით და შემართებით
მარად იგონეთ გმირნი ქვეყნისა,
იგონეთ გმირნი, კრძალვით, ღირსებით,
ერთგულნი მიწის, ენის, ერისა.“

* * *

სად არის ღმერთი?
სად არის სითბო?
და სად ვიპოვო ჩემი სავანე?
შენ ყოველ ღამეს სარკმლებთან მიცნობ,
წლების სიშორით ძლიერ დაგლალე!

სად არის ზეცა?
სად არის ბინა?
ვბერდები, როგორც ცივი ზამთარი,
შორეულია შენი თვალები,
როგორც სიზმრებში:
თეთრი ზღაპარი!

სადა ხარ, უნდა მითხრა დილაშდენ,
გათენებისას უნდა გიპოვო,
სულის ტკივილით დიდხანს ვინ ვალე,
კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიგლოვო?

სიზმრიდან მოდი, თუკი მოდიხარ,
ცრემლებად მოდი, თუკი შემხვდები,
უნდა დავბრუნდე წლების ომიდან,
რომ აშრილდნენ ჩუმი ვერხვები!

შენ კი უფრო და უფრო ვერ ხვდები
როგორ მიყვარხარ, როგორ მომინდი!
აშრილდება ჩუმი ვერხვები,
შენ სარკმლებთან ღამით მოფრინდი!

ვერ ხვდები, მაგრამ გეტყვი ჩურჩულით:
როგორ დაგვღალა, როგორ ლოდინმა,
სევდით დაფარულ დღეთა კრთომაში
დაგიბრუნდები წლების ომიდან!

2015 წ.

* * *

შორი არის შენი ხმა,
თოვლის უკუქცევა ღამეში,
დრო რა უცებ გავიდა,
ცრემლი დაინისლა თვალებში...

2015 წ.

* * *

დაცლილი ქუჩა...
ირგვლივ წყვდიადი...
აღბათ მიიღებს უიღბლო შეშლილს,
ნოემბერია, სველი საღამო...
ისევ ხმაურობს ცოცხალი ლეში!

2015 წ.

* * *

შენს გზაზე წამოვალ დაღლილი სხეულით,
შენს სახლთან მოსული ბოლოჯერ გინატრებ!
გიყვარდე ასეთი უხმო და ეული,
ასეთი ფიქრებით ძლეულიც გიყვარდე!

2015 წ.

* * *

ყრუდ გადაჭრილი სულის ნაწილი
დავკარგე სადღაც, ღამის ბორანთან,
დამშრალ თვალებში ცხელი ცრემლივით
კი არ მოვიდა, მუზა მოვარდა!

2015 წ.

ოცნება, უქაროდ ძლეული

მომკალი უგონოდ დამთვრალი,
უკვალოდ დაშლილი სხეული,
ის გზები, ოდესღაც დამშრალი,
ის მთები, ოდესღაც რღვეული.

მოკალი უსახოდ ქცეული,
უქაროდ ძლეული ოცნება,
დღე იყო, როდესაც წყეული
სიზმრიდან დამიხსნეს ლოცვებმა.

მომკალი უგონოდ ნასვამი
პირველად ნათქვამი სიტყვებით,
დავენდე ბოლომდე გასაჭირს,
ჰაერზე უმეტეს მჭირდები.

მომკალი ფიქრებში დამხრჩვალ
უგონოდ ნასვამი ტირანი,
მომენდე,
(თვალები – გამშრალი),
მერე რომ არ იყოს გვიანი...

ფერები, რომლებიც არსად ჩანს,
სიტყვები, რომლებიც არ ითქვა,
მომკალი უთქმელად ამაღამ
დამშრალი მდინარის ნაპირთან.

ოცნება მეძახის შორიდან,
ფერები დღეებში ირევა,
ვიცი, რომ სიმღერებს მომიტან
გრძნობების ნაცრისფერ კიდესთან.

მომკალი უცრემლო თვალებით,
მოსისხლე მტერივით დამახრჩე,
ის დილა, ის ნაზი წამები
მოკლულის სიცივით გაათბე.

მომკალი უგონოდ დამთვარალი,
 უკვალოდ დაშლილი სხეული,
 მდინარე, ოდესღაც დამშრალი,
 ოცნება, უქაროდ ძლეული.

2015 წ.

უსისსლო

ქუჩა – წვიმებით დამძიმებულ დღეთა საუფლო,
 მოდის შორიდან არეული ფიქრთა ნაკადი,
 ამდენ სევდიან ხასიათებს როგორ გაუძლოს
 გულმა და როგორ მოერიოს ამდენ გასაჭირს?!

სისველე ღამის ბნელ წამებში...

ისევ თავიდან

ინყება ცივი მელოდის სახლში დინება,
 წვიმის წვეთები, წამოსული ზეცის თალიდან,
 თითქოს უთქმელად შეაჩერეს სახლის მინებმა.

ღურჯი ჰაერით გაჟღენთილი უქარო სივრცე,
 იქვე სანოლზე მიგდებული უცხო სხეული
 აღარ მოძრაობს, აღარ იძვრის...

ცივი ხმა ისევ...

(კვლავ იმეორებს სიცივისგან გამოღეული):

„გაჩერებული საათი... ოთახი... ერთი... ორი...“

კარზე მომდგარი ზამთარი...

სიტყვები, თითქოს შორი...

ირგვლივ ფერები: მშვიდი!

და ერთმანეთის ნდომით

ეფერებიან კედლებს და ვითვლი: ერთი, ორი...“

2015 წ.

სულის ღრიალი

გული შარაგზის ბოლოს კიოდა,
ქუჩაში ჰყეფდნენ შავი ძაღლები,
მე, მძიმედ დაჭრილს, სისხლი მდიოდა
და მეცლებოდა ლურჯი ძარღვები.

ირგვლივ ბინდების, სევდის საღამო,
ფერთა უსახო, უხმო თანხვედრა,
იქნებ ოცნება წლებში გავცვალო,
იქნებ შემინდონ ცივმა წამებმა.

იდუმალება, ღამის თენება,
სიჩუმე, ფიქრი, ღამე, სიზმარი,
დილით მშიერი ცხენის ჭენება,
ბოლო ჩასუნთქვა, შხამი, ისარი.

ეს უცნაური სულის ღრიალი
მალე მისწვდება ტყეებს, ნაპირებს,
ეს დასადალი, გული – ტიალი
გაჩერებასაც აღარ აპირებს!

ქუჩებში მოსჩანს თეთრი ლანდები,
თეთრ სიმღერებში დაცურავს გედი,
დღეს: დაღწილი წმინდა ხატები,
ხვალ: მენამული, უსახო მთები!

სინაზე, ქვაზე დაკლული ბგერა,
ცისფერი გზებით წასული მთვარე,
დამტვრეულ ხეთა უთქმელი სევდა,
ნელი წამება, წითელი არე.

ზეცა სიბნელეს უამბობს ამბავს,
მკვდრების ქუჩაზე ღამე ტრიალებს,
სიჩუმე გულში აჩაღებს ღადარს
და უცნაურად სული ღრიალებს.

ბოროტი, უხმო, უძილო ღამე
სინათლეს ახშობს სველი მუჭებით,
შენამდე მოსვლა უიღბლო წამებს
მოუნევთ უცხოდ, ბნელი ქუჩებით.

2015 წ.

ეპილი

ემი, მაგ თითებს ნაზად გამოთლილს,
 ცრემლიან თვალებს, ნუთებს, საათებს,
 გამომშრალ სახეს უნდობლად მაჩვენებს
 ბედი უსახოდ ქცეულ კამათელს.

თეთრ ღამეებში, ცეცხლში, ღადარში,
 რამ დამასიზმრა შენი ხელები?!
 შენი სხეულის ნაზი მიმოხვრა,
 მზით ალენილი, მწიფე მტევნები.

შენ არ იცოდი სევდის ფერები
 და მწუხარებით სავსე წამება,
 მარტოსულობით სავსე მხედრები
 და მწუხრის მშვიდი გამოსალმება.

ემი, მაგ ღიმილს, მუდამ სევდიანს
 და უთავბოლო სევდის ქარიშხლებს
 დავარქმევ ჰაერს, ჰაერს – ნესტიანს
 და უსახელო გრძნობის კარიბჭეს.

მე გამოვცადე შენი სიშორე,
 შენი უძიროდ ლურჯი თვალები,
 მაგრამ უკეთურ დროის სიმოკლემ
 მეც შემიმოკლა ბოლო წამები.

ახლა კი ვწევარ ცივ სარეცელზე
 და შენ გეძახი მშრალი ტუჩებით,
 შენი სხეულის ნაზი მიმოხვრა,
 წვიმით მოცული, ვინრო ქუჩები.

ემი, წარსულში დარჩა ბავშვობა
 და სიხარულით სავსე დღეები,
 მე მახსენდება შენი სპეტაკი
 ლერწამისავით წვრილი ხელები.

ახლა კი დამრჩა მხოლოდ ოცნება,
მხოლოდ გაცრეცილ ფიქრთა დინება,
იქნებ მომძებნონ შენმა ულონო,
შენმა ნატიფად თლილმა თითებმა.

ემი, ჩემ ირგვლივ ისევ ქარია,
ემი, ჩემ ირგვლივ ხარობს სიცივე,
ქარიშხალია და გრიგალია,
მაგრამ არ მტოვებს ჩემი სიმძიმე.

მე ვიცი, როგორც უნდა წავიდე,
მაგრამ არ ვიცი, რისთვის მოვედი,
სანამ სიკვდილი სუნთქვას წაიღებს
ვერ მოვერევი შენზე მოლოდინს.

ასე მგონია, ვიყავი გუშინ
შენს სასთუმალთან ჩუმიად მოსული,
შენ კი იწევი ფერად სიზმრებით
და ოცნებებით გარემოცული...

მე მირჩევნია სიცივე მერქვას
და შენს სარკმელთან წვიმად მოვიდე,
აღბათ, გრძნობების მხლებელი სევდა
და მარტოობა ბოლოს მომიღებს.

მძიმე ქვასავით მანევს წუხილი,
სადღაც სხეულში ხმაურობს გული,
ოთახში ისმის შენი ჩურჩული,
შენი სინაზით მევესება სული.

შუბლზე ჩერდება ცივი ამბორი,
ეს სიმღერაა, ლექსი კი არა,
შენი თმებიდან კრძალვით მოსულმა
მე ქარიშხალმა გადამიარა...

იქნებ სიზმარში, ან იქნებ ცხადში
 მოხვალ აპრილის ნაირფერებად,
 ვიცი, განთიადს ისევ შევხვდები,
 ვიცი, სიკვდილიც ვერ მომერევა.

ამდენ ქაოსში და სიცივეში
 მარტოდ დარჩენილს ნეტავ რა მელის?!
 მე გავუძელი ზამთრის ამინდებს,
 მაგრამ უშენოდ ველარ გავძელი.

ვერ გავუმკლავდი სევდის მორევებს,
 ვერ მოვერიე დროის ქარტეხილს,
 მოდი, სიკვდილი სანამ წაიღებს,
 სანამ წამართმევს სუნთქვას განყვეტილს.

არ მნამს ხატების და ღვთაებების,
 მე შენ გინამებ ბოლო წამამდე,
 მოდი, სიკვდილი სანამ წამიღებს,
 მოდი ვარდისფერ განთიადამდე!

ოთახში ახლა სიჩუმე ისმის,
 მე კი ვსრულდები ქანცგანყვეტილი,
 მოდი აპრილის ნაირფერებად,
 თუნდაც ცრემლებად მოდი, ემილი!

2015 წ.

შემოდგომის დღეები

მახსენდება შემოდგომის დღეები,
ოცნებები, მწუხარებით დაღლილი,
მდუმარება, განისლული ველები
და გრძნობები, მორცხვი, როგორც აპრილი.

შენს სარკმლებთან ღამე დავეხეტები,
შენს ქუჩებში სხვანაირი ღამეა,
ეს ის ცაა, რომ შევყურებ ვედრებით,
თუ ეს მხოლოდ შორეული მთვარეა?

შენს ფიქრებში ვერ ვიპოვე ადგილი,
სადაც სული მოისვენებს ნეტარად,
ის დღეები, მარტოობით განვლილი
და ის სიტბო, ტანზე რომ არ მეფარა.

ვერ გავუძლებ, ვიცი, ზამთრის ამინდებს
და ცხელ ტუჩებს გააცივებს ყინვები,
გაზაფხულზე და წვიმიან ამინდზე
უფრო მეტად, უფრო მეტად მჭირდები.

აღარ მოხვალ, ვიცი, აღარ შემხვდები,
აღარ მეტყვი, რომ სიცოცხლე გესიზმრა,
ვვარსებობ და ძველებურად ვბერდები
მაგრამ ხილვა შენი ჯერ არ მეღირსა.

ლურჯ ამინდებს გადაფარავს ღრუბელი,
შორი ტრფობით აივსება სხეული
და სიტყვები, უცნაური, უთქმელი,
ოცნებები – მწუხარებით ძლეული.

დამცინიან ბედისწერის ღმერთები
და მე ვკვდები, როგორც შორი აპრილი,
ქუჩა-ქუჩა უკანასკნელ ვედრებით
შენს სარკმელთან უხმაუროდ გავივლი.

მოდის გზები, მოდის მორცხვი აპრილი,
მაგრამ გზები დასრულდება შენამდე,
შენს სარკმელთან უხმაუროდ გავივლი,
გავაგრძელებ მე სიარულს ზეცამდე.

არეული, არეული ფრაზები
და სიტყვები ერთმანეთს რომ ერევა,
აგონია, საბოლოო წამები,
უეცარი, სასიკვდილო შეტევა.

მე ფიქრებში, ოცნებებში ვათენებ
სევდით მოცულ უიმედო ღამეებს...

მწუხარებამ არსებობა არია,
ქუჩებში კი ისევ ცივი ქარია...

2016 წ.

* * *

ირგვლივ აპრილის საღამო წყნარი,
შენს სასთუმალთან მოვალ იებად,
არ დამანახო ცრემლების ღვარი,
ღიმილი უფრო გეპატიება...

2016 წ.

* * *

წყალი, რომელიც იცვლება სისხლით,
სისხლი, რომელიც იქცევა ქვიშად,
ველარ გაფუძლებ მე ამდენ ტკივილს
და ჩემს ნაკვალევს დაფარავს მიწა.

2016 წ.

* * *

შენს სტრიქონებში იპოვეს სევდა
ტანჯვით დაღლილმა ცივმა წუთებმა,
ნადრევია სიკვდილზე ალბათ
სიცოცხლეშივე გამიფნურება.

2016 წ.

თეთრი სიკვდილი

შენ თეთრ კუბოში მიგასვენებდნენ
ზევით აწვდილი, ცივი ხელებით,
მე მოგყვებოდი უკან მდუმარედ,
ნაცნობი სევდით, ჩუმი ვედრებით.

ზამთრის ბოროტი, სველი სიცივე
გენვა სხეულზე, როგორც სიზმარი,
როგორ მტანჯავდა ჯოჯოხეთიდან
გამოსროლილი შავი ისარი.

მათბობდა ერთ დროს შენი ხელები,
შენი თვალები და შენი თმები,
ახლა კი მოგდევ უკან ხველებით,
ცრემლიც არ შემრჩა არცერთი წვეთი.

ვიცი, ეს არის, რასაც ელოდი
და გაუბოდი, როგორც მტაცებელს,
ვიცი, სიტყვები – ტუჩზე დამკვდარი
შენ თეთრ კუბოში აღარ გაღელვებს.

ო, გელოდება შავი სამარე
და მარტოობა მარადიული,
შენ ველარ იგრძნობ ზეცის სიდიდეს,
რადგან დამინდა უკვე ღვთიური.

კუბოს სითეთრეს დაფარავს მინა
და სილამაზეც დაიფერფლება,
უკან მოგყვები ჩუმი ბგერებით,
უიმედოა ჩემი ვედრება.

თმებს ისევ გინენს ცივი ნიავი
და დასასრული ირგვლივ თამაშობს,
მათბობდნენ ერთ დროს შენი ხელები,
დღეს შენი მინა როგორ გამათბობს?!

შენ თეთრ კუბოში მიგასვენებდნენ
ზევით აწვდილი, ცივი ხელებით,
მე მოგყვებოდი უკან მდუმარედ,
მე მოგყვებოდი უკან ხველებით.

კივილი

აღარც წვიმები, აღარც სხივები
 აღარ ამშვენებს წყეულ სიცოცხლეს,
 აღარც სიტყვები, აღარც რითმები
 აღარ ასწორებს ხვეულ სტრიქონებს.

აღარც ფიქრები, აღარც ხიდები
 აღარ ეწყობა სულის სიმრთელედ,
 აღარც რიტმები, აღარც სიზმრები
 აღარ ამდიდრებს ღარიბ სიმღერებს.

მხოლოდ ყვირილი, მხოლოდ კივილი
 შემჩნა უღმერთო წამის სიმოკლედ,
 ბნელი ფერებით ვეღარ ვერევი
 ამ უწმინდური სულის სიკოჭლეს.

2016 წ.

* * *

აღბათ, რთულია, გძულდეს სამყარო
და შენ გარშემო ყოველი ფერი,
ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა,
ყოველი ფეთქვა ატმისფერ ყელის.

აღბათ, რთულია, გიყვარდეს ქალი
მთელი არსებით, მთელი სხეულით,
აღბათ, რთულია, მას უთხრა სიტყვა
საწამლავად და შხამად ქცეული.

აღბათ, რთულია, გათბობდეს შვილი,
როგორც თებერვალს ბოლო დღეები,
აღბათ, რთულია, სიცოცხლე იგრძნო
ნაძალადევი ბედნიერებით.

აღბათ, რთულია, ბოლომდე გაძლო
და აღესრულო ისე გულწრფელად,
როგორც ქარები თმებს გაგიშრობენ
და ვერ გაუძლებ სევდას უთქმელად.

2016 წ.

შვილი მუსა

ფერების მჭამელ უძირო ჭალებს
შორი ოცნებით აქროლებს ქარი,
ლამის ქალწული დაეძებს ქარებს
და შვიდ მუხასთან ჩერდება წამით.

ზეცის სიმშვიდე აწყდება ზარებს,
უკვე ფერებსაც გაურბის ქალი,
დასამარებულ, გაყინულ წამებს
თავდავიწყების გააღლობს ალი.

მე სიყვარული დაწყვეტილ სულით,
დასიცხულ გულით სულ თან დამქონდა,
მიყვარდებოდა და მძულდებოდა,
გამბედაობა მუდამ არ მქონდა.

ჰაერზე უფრო მსუბუქად ქროდნენ
შორეულ ზღვათა ლურჯი სიზმრები,
მივიწყებული დღესვე რომ მოვკვდე,
არ მეყოლება მე დამტირები.

ცხოვრება დილის ნისლში გავლიე
და ბნელი ღამე ტანზე მეფარა,
მარადისობის წყალი დავლიე,
მაგრამ ცხოვრება წლებმა მომპარა.

ფერების მჭამელ, უძირო ჭალებს
შორი ოცნებით აქროლებს ქარი,
ლამის ქალწული დაეძებს ქარებს
და შვიდ მუხასთან ჩერდება წამით.

2016 წ.

* * *

სევდა მანვება ყოველ საღამოს,
ყოველი დილა იწყება სევდით,
მინდა, რომ სევდით არ გადაგვალალო,
არა განვარისხო უფალი შენში.

2016 წ.

მორევი

მოხეტიალე ზღვის ტალღები არწევენ ბორნებს,
სხეულს რომ მიწვავს გამეტებით – არის ხანძარი,
დაბლობზე შავი ქარიშხალი აკეთებს მორევს,
დამრეც კლდეებზე უიმედო მოჩანს ტაძარი.
და ეს ტაძარი,
სიკვდილნავალი
მომიხმობს ურჩხულს, მომიხმობს ცოდვილს,
მე ჩამეძინა ღამით ჭალაში,
ვერ გამინელდა ტკივილი ლოცვით.
მე დამესიზმრა თეთრი სამრეკლო,
ოქროს სხივებით მზემ რომ დანამა,
მე პოეზიამ ამწია ცაში
და არსებობამ დამასამარა.
ფერების წყება წყალდება თვალში,
სადღაც კლდეებზე მოჩანს ტაძარი,
სულს რომ ამძიმებს,
გულს რომ ამძიმებს,
სხეულს რომ მიწვავს – არის ხანძარი.

2016 წ.

მარტოობა

როგორც წაიქცა მზიანი დილა,
როგორც ჩამიდგა სისველე ხმაში,
ისე სხეული იქცევა ჩრდილად
და ქარიშხალი გამივლის ტანში.

ისევ შორეულ სახეებს ვხედავ,
ისევ ვიღვიძებ წვიმიან მარტში,
მე მეშინია, მომავლის რწმენამ
არ მიმატოვოს საშინელ ქარში.

თუ მარტოობა მხოლოდ სახლია,
სადაც ოთახი ჰგავს ბნელ სამარეს,
მაშინ გეტყვი, რომ სული მაკლია
და არსებობა ძლიერ მანვალებს.

მე არც სიკვდილი მინდოდა წუხელ
და არც სიცოცხლე მესიზმრებოდა,
მე არც ყვავილებს ვიდებდი გულზე,
რადგან ფერები მტვერში ქრებოდა.

მხოლოდ დღეს მივხვდი, ყველა ოცნებას
აქვს დასასრული ცხოვრების დამლევს
და თუ ოთახში ვინმე მოკვდება,
ეს მე ვიქნები, ლექსი და ღამე.

გუშინ წაიქცა ჭალარა დილა
და ჩამიგუბდა სისველე ხმაში,
მე მეშინია, მომავლის რწმენამ
არ მიმატოვოს საშინელ ქარში.

2016 წ.

მე, შემოდგომა და სიმართლვე

ოდესმე ისევ გავაღებ სარკმელს
და ცივ სამყაროს ფილტვებს გავუყოფ,
მინდა, სიზმრებში ისევ შენ ჩანდე
და უკვდავების ვარდი გაჩუქო.

ვერ დავამარცხე ჩემში დემონი
და ვერ მოვკალი ბოროტი ღმერთი,
მე მაინც მიყვარს ის ანგელოზი,
წვიმიან დღეებს ჩუმად რომ ეტრფის.

ვხედავ სასწაულს ამ სიჩუმეში
და გადარჩენის კიდეებს ვხედავ,
მინდა, სიცოცხლის ბოლო წუთებში
არ მიმატოვოს მომავლის რწმენამ.

დღეები ისე სწრაფად მიდიან,
რომ განსაცდელთან მარტო დამტოვეს,
აღბათ, ეს არის ჩემი სტიქია –
მე, შემოდგომა და სიმართლვე.

2016 წ.

ჩემი ცხოვრება

ჩემი ცხოვრება – ეს ტრაგედია,
 ეს კომედია ჯერ არ ნახული,
 ვდგავარ ხეების ნაცნობ ტევრებთან
 და აღარ მოდის აქ გაზაფხული.

ჩემი ცხოვრება – ეს ტრაგედია,
 ეს კომედია სიტყვით უთქმელი,
 მთელი საღამო არ ჩამეძინა,
 ღამე ვათენე თეთრად ნუხელი.

ჩემი ცხოვრება – ეს ტრაგედია,
 ეს კომედია წრეგადასული,
 ვიცი, ყინვები აღარ გაივლის,
 ვიცი, არ მოვა აქ გაზაფხული.

ჩემი ცხოვრება – ეს ტრაგედია,
 ეს კომედია,
 მარად წამება...
 ყელში ჩაფრენილ გემოს სიკვდილის,
 გადავეყრები გლოვის ზარებთან.

ჩემი ცხოვრება – ეს ტრაგედია,
 ეს კომედია ისრიმისფერი,
 ვიცი, ეცდები ჩემს გადარჩენას,
 ისიც ვიცი, რომ ველარ მიშველი.

ჩემი ცხოვრება – ეს ტრაგედია,
 ეს კომედია ჯერ არ ნახული,
 ვდგავარ ხეების ნაცნობ ტევრებთან
 და აღარ მოდის აქ გაზაფხული.

2017 წლის 31 იანვარი

სატრფიალო

შემოიხსენი, ქალავ, პირბადე,
სამშობლოში ხარ, განა მტრებშია,
შენი დაკარგვა ოდეს ვინამე,
შენზე ფიქრები შემომეჩვია.

გამოვაჭენე შენკენ სალარი,
გდიე ქარსა და ველურ წვიმაში,
წამომენია გზაზე ავდარი
და ამინენა ჯანღმა ქილვაში.

რა ქვის კედლები არ დავანგრეი!
რა ხის ხიდები არ ავაშენე!
მაგრამ მეომარს, ბედით მიწიერს,
შემომეხვია ღამის სიმხეცე.

დაბნელდა ჩემთან, ისე დაბნელდა,
როგორც ბნელდება ველზე ალაზნის,
დავრჩი მებრძოლი ბოროტ ღამესთან,
ხმალი კიოდა ბოლო წამამდის.

ვერ შევეჩვიე შენთან სიშორეს
და ვერ ვიგუე შენი არ ყოფნა,
როცა მომძებნა ისევ სიცოცხლემ,
მე დადუმებულს სიტყვა აღმომხდა:

„მნამს გადარჩენის ველურ ავდარში
და აღმაფრენის ბოლო წამისა,
როგორც მზის სხივი შუა ზამთარში,
შენი დანახვა თვალებს ამინვავს.

იქნებ ამ ქვეყნად ველარ გიპოვო,
იქნებ სიზმარშიც ველარ გიხილო,
მაინც რამდენ ხანს უნდა ვიბრძოლო,
მაინც რამდენ ხანს უნდა ვიძინო?!“

იყო სიბნელე,
 იქმნა ნათელი...
 და სასწაულით შენაც გამოჩნდი,
 ვგრძობ, გეშინია იმის გამხელის,
 სახეზე ცრემლი როგორ ჩამოგდის!

შემოიხსენი, ქალავ, პირპაღე,
 სამშობლოში ხარ, განა მტრებშია,
 ჩვენ სიყვარული ისე ვინამეთ,
 ბედის გრიგალიც ვერ მოგვერია.

2017 წ.

* * *

მხოლოდ ის მინდა, რომ შეგახსენო,
 თუ არ დაგიმსხვრევ ბოლო ოცნებას,
 არსებობთ მხოლოდ – ტანჯული სული,
 ტანჯული ყოფა და არსებობა.

ზვიად გამსახურდიას

შენ, საქართველოს მოჭირნახულევ,
ხედავ შენს მამულს ასე დამცრობილს,
რითი დავაცხროთ სისხლის დუღილი?
რა მოვუხერხოთ გულებს გაპობილს?

ვიცი, ეს არის, რაც განუხებდა,
ეს ხომ ის არის, რასაც ელოდი,
კვავართ სამშობლოს ურღვევ ზღუდესთან
და დაგვტრიალებს თავს ანგელოსი.

მშვიდ არსებობას ვერ შეეგუე,
რადგან ცხოვრებამ ბრძოლისთვის გიხმო,
ათიათასგ ზის ნათქვამ სიცრუეს
ვმუხრავთ და ხელებს ყინულით ვითბობთ.

აღარ შეგეძლო მზერა დალატის
და სიბინძურის, სიბილწის, მსგავსის.
გამონრთობილო რკინად ლაღარში
შენს მოქმედებას აღმური ასდის.

მაინც მოისმის რეკვა ზარების,
ბოლო მეომრებს თავისკენ იხმობს,
დროა, აღვენთოთ ჩვენც შემართებით
და ბრძოლის ველზე მაჯები ვსინჯოთ.

მერე რა მოხდა, თუ ვენამებით,
თუ გვერკინება ჟამი-ტიალი,
არასდროს გვსურდა ვერცხლის თასები
და ბედის ბორბლის წაღმა ტრიალი.

მერე რა მოხდა, თუ დავეცემით,
ერთხელ დაცემა ყველას ხვედრია,
უნდა გვახსოვდეს, რომ წამოდგომა
უმამაცესთა ბრძოლის წესია.

ცხენს მიაჭენებ განსაცდელისკენ,
როგორც ყოველთვის, მოგყვები გვერდით,
გავიმანძილებთ ბრძოლის ველისკენ
და ჩვენიანი ზურგიდან გვესვრის.

აღმასობს ცაზე მზე ივერიის,
ბოლომდე ვერ გვწვავს და ველარ ზვაობს,
დადუმებულია მშობელი მინა,
დამსგავსებია შმორიან ჭაობს.

არ დაგვიჟანგდე ხმალო გორდაო,
ნიშანი მოგვეც სამშობლოს ცაო,
მარადისობას ნაზიარებო
ჩემო მრავალგზის ტანჯულო ძმაო!

ყურში ჩაგვესმის ქვეყნის ხრიალი,
მოვარდნილ ცრემლებს ველარ ვიოკებთ,
სვაკი ყოველდღე გულ-ღვიძილს გიკორტნის
შენ, მიჯაჭულო კავკასიონზე!

გამოგვარჩია ღმერთმა საქმნელად
საქვეყნო საქმის და სამსახურად,
მშობლიურ მინას სანთლად ვენთებით
და სამშობლოს ცა თავზე გვახურავს.

ისევ აღსდგება მართალი სიტყვა,
დალენავს ტანჯვად ქცეულ მარწუხებს,
ჩვენ საქართველოს დიდება გვინდა!
ჩვენ საქართველო ბედი გვანუხებს!

არ დაგვიჟანგდე ხმალო გორდაო!
ნიშანი მოგვეც სამშობლოს ცაო!
მარადისობას ნაზიარებო
ჩემო მრავალგზის ტანჯულო ძმაო!

2017 წლის 9 თებერვალი

სამშობლოსადმი

ო, რა ტკბილი ხარ!
შენ ტკივილი ხარ!
ესოდენ მძაფრად რომელიც მახსოვს,
შენ ტკივილი ხარ, მხრებით რომ ვზიდავ,
უსიტყვოდ ვიტან და არას ვამბობ.

მე დღემოკლე ვარ, ნუთი და ნამი,
შენ კი დროების ხარ ქარიშხალი,
მე მახსენდება დღისით თუ ღამით
მინა – ნასეტყვი და ნალეკარი.

შენ სიზმარი ხარ და სალოცავი,
მარტოდ შენილი რომელსაც გვედრებ:
გონს მოიყვანო კაცი ყოველი,
რომელიც არ სწუხს, არ ფიქრობს ერზე.

ზარ-ზეიმებით შემოაქვთ ძღვენი
დანაელთა და მრავალთა სხვათა,
ვინლა იხილოს მხნე და მხედარი*,
ვინაც მორჭმულად სარდლობდა სპათა?!

გმინავს სამშობლო გარდასულ დღეთა
ნაოხარით და შავი ყისმათით,
მუხლზე დაჩოქილს, ძალა გამოცლილს
ვით მოგეახლოს შენ ათინათი?!

ყოველდღე ტანჯვის გრიგალში ვრჩები,
გულზე მანყვია ცხელი ლოდები,
პირობას გაძლევ, ძალო ცხოვრების:
შენთვის ვიცოცხლებ,
შენთვის მოვკვდები!

რამეთუ იგი, რაც ერთხელ მწამდა
გადაქცეულა სინმინდის წყაროდ,
შენ მომანიჭე შვება ნანამებს
და ნუ გამწირავ, ცხოვრების ძალო!

* იგულისხმება დავით სოსლანი

შენ ერთს გეკუთვნის გული, რომელიც
 მრავალჯერ ჭრეს და მრავალჯერ კოდეს,
 ვერ შევეჩვევი შენს უძღურებას
 და ვეკვეთები ჩაუვალ კბოდეს.

თუნდ სათნოება მიიღონ ზღაპრად,
 არ მიიჩნიონ სულის ნაწილად,
 გთხოვ, ამაშორე შური და ზაკვა,
 არ მომაკარო ბინი ადვილად.

ძალა მომეცი, რომ გემსახურო,
 და ნება დამრთე, რომ გიპატრონო,
 შენ – საოცნებო, დღეს უსახურო,
 ამ ქართველში როგორ დაგტოვო?!

ლითონის აბჯარს ტანზე ავისხამ
 შუა ბრძოლაში ხანჯალს ვიშიშვლებ,
 მომხდურს ჰოროლით გულ-მკერდს შევუღენ
 და მშობლიური სისხლი მიყივლებს.

ათასჯერ მაინც გინატრე ნუხელ,
 ათიათასჯერ სიზმრად გიხილე,
 სჯობს, რომ შევაკვდე ურიცხვ ურდოებს,
 ვიდრე ძირს დამცეს ჩემმა სიმცირემ.

უნდა შევებათ მტერს ერთობლივად,
 ხერხია, ვფიცავ, მრავალნაცადი,
 დე, იდღეგრძელო, მშობელო მიწავ,
 თუნდაც ამოწყდეს კაცად-კაცადი.

ნუთუ დაღუპვა გაქრობას უდრის?!
 ნუთუ სიკვდილით კაცი სრულდება?!
 ღალატისათვის განმზადებული,
 ხმალი ჟანგდება, კაცი ცუდდება.

არც ისე დიდხანს არ უნდა ვენტოთ,
რომ შეგვენანოს თავის განირვა,
ერთხელ მოსულნი ერთხელ მოვკვდებით,
არაფრად გვარგებს ამო დრტვინვა.

სჯობს კიაფობდეს სახელი წმინდა
და შევეწიროთ მამულს ზვარაკად,
მოვიქნევ ხანჯალს და მერე თუნდაც
ჩემი ამბავი მოჰყვენ არაკად.

2017 წელი

ტანჯულო მიწავ!

არც არავისზე არა ვბატონობთ,
არც თავებს ვუხრით ქვეყნად არავის,
ტანჯულო მიწავ, ვინ გიპატრონოს?!
გულზე ვის აჩნდეს შენი ვარამი?!

მე მეშინია უმალ დაღუპვის,
ასე უსიტყვოდ და უსახელოდ,
შემოგჭერია ყელზე მარყუჟი
მიწავ ტანჯულო და სანატრელო!

შემომეგზნება გულზე სახმილი,
ცრემლით დავალტობ წამებულ სიტყვას,
როს იელვენებ ძმათა მახვილნი,
ბრძოლით დაგისხნით, ტანჯულო მიწავ!

2017 წელი

შორეული, მქროლავი თმეზი

შორეულ, მქროლავ თმებს,
ლოცვით გაღეულ გზებს,
ღურჯზე პრილა მზეს,
ლამის დანურულ დღეს,
ვხედავ!

ველარ ვეჩვევი ქარს,
ვილაც გადაღვრის წყალს,
ვერხვებს ვავედრებ თავს,
სევდით ვიგონებ ქალს,
ვდუმვარ!

ვინყებ წარსულზე ფიქრს,
წრეზე წარაფებს ვთვლი,
წუხელ განწირულ გზირს,
წრთობა წამებას გვრის,
ვრჩები!

სოფლის სიამის ზღვებს,
ქვაბს მისვენებულ ღმერთს,
ნესტიტ განისლულ სერს,
შორეულ, მქროლავ თმებს,
ვტოვებ!

2017 წლის 16 მარტი.

კამელია

ციალებს ცა ცარგვალ-ცვრიანი,
ხეები ხნულს ხარბად ხრავენ,
მოჟონავს მზე მარად მტირალი,
რემები რაშთ რძისფრად რთავენ.

კორომში კიანთობს, კრთის კამელია,
თელავენ თაველებს თავგისფერ თასმებით,
მარდუქობს მეფეთა მარჩვიბი მესია,
ნებიერ-ყოფიან ნამორი ნაძვები.

ყავისფერ ყამირში ყირმიზი ყანები
გაშენდნენ, გამრავლდნენ, გამებიც გუგუნებს,
ზაფხულებს ზაფრავენ ზლაპრული ზღარბები,
ქირდავენ, ქრთამავენ ქაჰირას* ქურუმებს.

დაეცნენ, დამიწდნენ დერვიში დეკები,
სერავენ სამყაროს სიტყვები სოფიის,
ძალღები ძენძავენ ძელ-ძარღვებს ძენწების,
დაძრნიან დასებში დამანი დობილნი.

2017 წლის 18 მარტი.

* ქალაქი კაირო

შენ უკრავ ვაგნერს, მე კი – ბერლიოზს!

ფორტეპიანოს კლავიშებს ვითვლი,
 რიდით ვკითხულობ ჟიდს და ელიოტს,
 ყოველ საღამოს ფანჯრების რიგში
 შენ უკრავ ვაგნერს, მე კი – ბერლიოზს!

სულმა გაშალა ფრთები მსუბუქი,
 სურს, მყუდროება ცაში ეძიოს,
 შემოგვჩვევია სახლში ბურუსი,
 შენ უკრავ ვაგნერს, მე კი – ბერლიოზს!

გაუვალ გზებით მოვალ შენამდე,
 ათასი ლამე თუნდაც მეძინოს,
 ვრჩებით ოთახში შებინდებამდე,
 შენ უკრავ ვაგნერს, მე კი – ბერლიოზს!

სხივმორეული მოარულ ვლანდავ
 ცის კაბადონზე მქროლავ ჰელიოსს,
 ცოდვით განვლილი ცხოვრების კართან
 შენ უკრავ ვაგნერს, მე კი – ბერლიოზს!

მე ჩავებმები ქაჯთა ფერხულში,
 ვუხმობ სევდისგან ვნებულ ლეგიონს,
 ნოტებს გამოვჭედ სიტყვით ვერ თქმულში,
 შენ უკრავ ვაგნერს, მე კი – ბერლიოზს!

ფორტეპიანოს კლავიშებს ვითვლი,
 რიდით ვკითხულობ ჟიდს და ელიოტს,
 ყოველ საღამოს ფანჯრების რიგში
 შენ უკრავ ვაგნერს, მე კი – ბერლიოზს!

2017 წლის 22 მარტი.

კახეთს

ღვინობისთვის თუ არ გინახავს
ზეცა კახეთის, ზეცა ალუბლის,
მაშინ არ გჯერა მიწის ღალადის
და ღამ-ღამობით უფლის საუბრის.

თუკი ერთხელაც არ გაგისინჯავს
ღვინო სიცოცხლის, ღვინო კახური,
მაშინ ნუ იტყვი, რომ შეგიძლია
ლხინი ქართული და ვაჟკაცური.

თუკი კახეთში არ გიმღერია,
არ გიგემნია ვაზის ნაჟური,
მაშინ არ იცი სუფრის სიამე,
ხმანი ამფსონთა ჭერში ასული.

თუ ვენახებში არ გაგივლია,
არ დაგინახავს დღისით კახეთი,
მაშინ არა სთქვა, რომ იცი მხარე
და ხვავრიელი აღმოსავლეთი.

ალაზნის ველი თუ არ გიხილავს
განათებული სხივთა თამაშით,
მაშინ არა გწამს სრულყოფილებს,
გვიანი რთველის ბოლოს შაბაშის.

თუ არ გინახავს კახეთის მთები,
კავკასიონი მწვანით მოსილი,
მაშინ არ იცი სახე ბუნების –
სვებედნიერი და მადლმოსილი.

თუ არ გივლია კახეთის გზებზე,
ტაძრებს ვერა სცნობ და მათ სახელებს,
მაშინ არ იცნობ მარად კურთხეულ,
ღვინის სურნელში გაზრდილ კახელებს.

2017 წლის 28 მარტი.

ძველი საქართველო

განლიგდა ძველი საქართველო, სისხლით მორწყული, მუნებურ ხელთა მეოხებით მარად ნახნავი, ნამებულ გმირთა სხივოსნობით ცარგვალ-მორთული, ურიცხვ სვავთაგან დაძენძილი, ყინვით დამზრალი.

აღარ ქუხს ძველი საქართველო, აღარ ანათებს, შავსვიან ბელეში გაქრობიათ ბრძოლის მურაზი, გასდევთ მჭამელი დატევებულთ უქმად ზარადებს, ებგურად ნაშობთ დაშრეტიათ წმინდა სულადი.

ღირფად რონინებს, ბიამანზე ცდად მოაბიჯებს მტერი – მიმდემი, ჭირნახულის ავად მხვეჭელი, ლიტონი რწმენით მივეახლეთ ძვალთა სამინეს, მაინც ვერ ჰპოვა მრთელმა წულმა მისადრეკელი.

თუ მგელთა მიწა ტინი იყო, ზვირთთა მრბეველი, ან წუმპედ იქცა, როყიოთა მყვართა ფაფილად, სანყლად ხრტიალებს უწინ მტერთა აფთით მძლეველი და დარეჯანი ქაჯთა ხელში ტყვედ ჩავარდნილა.

ურჯუკთა ურდო უნაპირო ტრამალს მოარღვევს, შურთხი შათირობს, შელენილა საგდულიანი, ღვთისგან ცხებული მიაგელვებს მერანს მონამე, ვით საქართველოს, ხვედრი მისი არ არს სვიანი.

შემუსვრილ მიწამ მოიხურა ნიმბი – ნესტარი, სულის სალბუნად მივაშურე პარეხს ცარიელს, ვით შეპყრობილი ქაჯთა მიერ მიჯნურს ნესტანი, ისე ვნებული საქართველო ელის ტარიელს.

2017 წ.

სარჩევი

მონატრება	3
ზღვა	4
მზის ჩასვლა	5
დილა	6
ქართულ ენას	7
ჭიდილი დროსთან	8
ვათენებ ღამეს	10
მე, აღმაფრენა	12
სემირამიდა	14
დრო გადის... ანუ რაღაც სრულდება	16
რომ გაიქეცი...	18
გალაკტიონის ხსოვნას	20
ღამე	22
ედემი ანუ დაკარგული ბინა	23
ბოლო აღსარება	24
მოდი!	26
ისეც მიხვდები...	27
სხვა სამყაროში	28
გული არ იცდის...	30
ვუმღეროთ სიკვდილს!	31
დაკარგული სამოთხე	32
ემიგრანტის ღამე	34
რა მჭირს?!	35
მინდა ვიცოცხლო...	36
მე სიყვარული ყველგან ვეძებე	37
გერგეთის სამება	38
ხმები სარკესთან ანუ შიშის აპოთეოზი	40
სისხლი მარაბდის	41
* * * ლომეკს მოადგა ღრუბელთა ჯარი	42
ლექსში დაკარგული	43
შენ ჩემში ხარ, საქართველო!	44
ღმერთი	45
ცოდვილი სული	46

რთულია, უთხრა: ნახვამდის!	47
უბრალო სიტყვები	48
წვეთი პოეზია...	49
* * * მინდა გადმოვფრინდე დროთა სიმალიდან	50
ისევ მარტო ვარ, ისევ!	51
როცა წვიმდება	52
Extremum Iudicium	53
„666“	56
სამართებელი	57
ბაავან ში	58
აგონია	60
ლამე	61
* * * მანამდე მინდა ვიცოცხლო, ღმერთო	62
წინაპრებს	63
ზღვის ქალწული	64
სიკვდილი ქარში	66
გინის სიზმარი	67
შავი გემი	68
ჩემი არსებობა	70
გმირთა სულები	71
* * * სად არის ღმერთი?	72
* * * შორი არის შენი ხმა	73
* * * დაცლილი ქუჩა...	73
* * * შენს გზაზე წამოვალ დაღლილი სხეულით	73
* * * ყრუდ გადაჭრილი სულის ნაწილი	73
ოცნება, უქაროდ ძლეული	74
უსისხლო	75
სულის ღრიალი	76
ემილი	77
შემოდგომის დღეები	80
* * * ირგვლივ აპრილის საღამო წყნარი	81
* * * წყალი, რომელიც იცვლება სისხლით	81
* * * შენს სტრიქონებში იპოვეს სევდა	81
თეთრი სიკვდილი	82
კვილი	83

*** ალბათ, რთულია	84
შვიდი მუხა	85
*** სევდა მან ვება ყოველ საღამოს	86
მორევი	86
მარტოობა	87
მე, შემოდგომა და სიმარტოვე	88
ჩემი ცხოვრება	89
სატრფიალო	90
*** მხოლოდ ის მინდა	91
ზვიად გამსახურდიას	92
სამშობლოსადმი	94
ტანჯულო მინავ!	96
შორეული, მქროლავი თმები	97
კამელია	98
შენ უკრავ ვაგნერს, მე კი – ბერლიოზს!	99
კახეთს	100
ძველი საქართველო	101
